საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 74 (876)
ხუთშაბათი, 5 მაისი, 1994 წელი.
ფასი 5000 კუპონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა ხდება აფხაზეთში?

ყრილობები და კონგრესები

გაზეთი „რესპუბლიკა აბხაზია" წერდა, რომ სოხუმში გაიმართა აფხაზეთის სახალხო ფორუმის „აიდგილარას" — საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის პრეზიდიუმის სხდომა. როგორც მოგეხსენებათ, ამ ორგანიზაციამ 1990-1992 წლებში აფხაზური სეპარატიზმის ფლაგმანისა და იდეების გამტარებლის როლი შეასრულა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აფხაზი მოსახლეობის იდეოლოგიურ დამუშავებაში.

სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება სახალხო ფორუმ „აიდგილარას" რეორგანიზაციის თაობაზე. იგი გადაკეთდება „აიდგილარას" „პარტიად", რომელმაც პრეზიდიუმის წევრთა აზრით, თავის რიგებში უნდა გააერთიანოს აფხაზეთის ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციის წარმომადგენლები. მომზადებულია პარტიის წესდებისა და პროგრამის პროექტები. მაისის დამლევს სოხუმში გაიმართება „აიდგილარას" ყრილობა, რომელზეც გადაწყდება ყველა ეს საკითხი.

გაზეთი „რესპუბლიკა აბხაზია" აგრეთვე წერს, რომ ჩერქესკში გაიმართა აფხაზ-აბაზინთა ასოციაციის პრეზიდენტის ტარას შამბასა და აბაზაშტის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის მუმინათ გონოვოის შეხვედრა ყარაჩაი-ჩერქეზეთის აბაზინი მოსახლეობის წარმომადგენლებთან. შეკრებილებმა დადებითად შეაფასეს ასოციაციის გადაწყვეტილება, რომ ამა წლის 20-28 ივლისს სოხუმში გაიმართოს აფხაზთა და აბაზინთა მეორე მსოფლიო კონგრესი, რომელთა დიასპორები არის თურქეთში, სირიაში, იორდანიასა და დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში.

ამრიგად, სოხუმში, სადაც ომამდე იმართებოდა სეპარატისტთა და მათ მოკავშირეთა ყოველგვარი ფორუმები, ახლაც არის ყრილობებისა და კონგრესების გამართვის ადგილი, რომელთა იდეოლოგიური მიმართულება არავითარ ილუზიას არ იწვევს.

ომის ეკოლოგიური შედეგები

სეპარატისტთა და მათ მფარველთა მიერ აფხაზეთში პროვოკაციულად გამოწვეულმა ომმა გავლენა მარტო მის მცხოვრებლებზე კი არა, ბუნების მდგომარეობაზეც მოახდინა.

ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთი წლის ომის განმავლობაში არაერთხელ დაიბომბა ნავთობბაზები და საწვავ-საპოხი მასალების სხვა ობიექტები. ზოგჯერ ისინი მთელი დღეების განმავლობაში იწვოდა. ხანძრების შედეგად ჭვარტლის ნაწილაკები ბოლთან ერთად ქარს დიდ სიმაღლეზე აჰქონდა და მთებში ილექებოდა. ჭვარტლის გამოყოფას ის მოჰყვა, რომ მყინვარებმა და თოვლის ფიფქებმა შთანთქეს მზის ენერგია.

სოხუმის გაზეთი „რესპუბლიკა აბხაზია" ამა წლის აპრილის დამლევს წერდა, ახლა აფხაზეთის მთებში შენიშნავთ, თუ რა სწრაფად დნება თოვლის საფარი, რამაც არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს მდინარეების ჰიდრორეჟიმზე, ამას კი მოჰყვება კლიმატის ცვლა და გვალვა აფხაზეთის რიგ რაიონებშიო.

ამავე გაზეთის 18 აპრილის ნომერში აღნიშნულია აგრეთვე, რომ აფხაზეთის რიგ რაიონებში დიდ საშიშროებას ქმნის დანაღმული ველების უზარმაზარი ფართობები. ამასთან, საქმე ათობით კი არა, ასობით ათას ნაღმს ეხება, რომელთაგან უმეტესობა ქვეითთა საწინააღმდეგოა, რომლებითაც დანაღმულია ტყისა და მთის მთელი მასივები. ეს საფრთხეს უქმნის ადამიანებსა და ცხოველებს.

როგორც ირკვევა, დანაღმული მინდვრების უმრავლესობა, რომლებიც 1992-1993 წლებში შექმნეს სეპარატისტებმა და მათმა მფარველებმა, დღემდე განაღმული არ არის. ეს თავად აფხაზებს აზარალებს: თავის დროზე აფხაზმა სეპარატისტებმა და მათმა გადამთიელმა მფარველებმა დიდძალი სახსრები მოახმარეს მათ შექმნას, რომლებიც განსაკუთრებით ბევრია ოჩამჩირის რაიონსა და ტყვარჩელის ზონაში.

ახლა, როგორც ჩანს, მათ არც სახსრები აქვთ და არც სურვილი, არც სპეციალისტები ჰყავთ, რათა განაღმონ ეს მინდვრები. ანდა იქნებ ისინი თავს უფრო უშიშრად და მშვიდად გრძნობენ, როცა თავიდან არ მოუშორებიათ ნაღმები?

თენგიზ პაჭკორია.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ბორის ელცინი:

„რუსეთის ბედი გადაწყვეტილია, იგი ივლის დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის გზით"

ფრანგმა ჟურნალისტებმა გაზეთ „ფიგაროში" გამოაქვეყნეს რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის ინტერვიუ. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რუსეთს თვითონ შეუძლია რეფორმების განხორციელება და არჩეული გზიდან არ გადაუხვევს, რომ რუსეთის ბედი გადაწყვეტილია და იგი დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის გზით ივლის. პრეზიდენტის აზრით, ყოფილი საბჭოთა იმპერია არასდროს დაბრუნდება. კომუნისტებსა და ვლადიმერ ჟირინოვსკის პარტიას, პრეზიდენტის აზრით, პოლიტიკური მომავალი არა აქვს. ყოფილმა ნომენკლატურამ ხელი არ მოაწერა სამოქალაქო თანხმობის ხელშეკრულებას და ამის გამო იგი წააგებს. ჟირინოვსკი კი აუცილებლად დატოვებს პოლიტიკურ ასპარეზს, რამდენადაც მას არ გააჩნია სოციალური ბაზა. „ჩვენ არა გვყავს ადამიანები, რომლებიც მხარს დაუჭერდნენ ფაშიზმს" — განაცხადა ბორის ელცინმა. რუსეთის მთავრობის მეთაურმა აღიარა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში შეცდომებს უშვებდა, მაგრამ მიაჩნია, რომ ისინი ტაქტიკური და არა სტრატეგიული ხასიათისა იყო. მან ჟურნალისტებს უთხრა, რომ აპირებს თავის პოსტზე 1996 წლის ბოლომდე დარჩეს, რომ რუსეთს სურს შეაჩეროს ომი ბოსნიაში. მან ჟურნალისტებს შეახსენა თავისი წინადადება გაიმართოს უმაღლესი დონის შეხვედრა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, სამშვიდობო შეთანხმების შესამუშავებლად.

მოლაპარაკება ბიშკეკში

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგების პრობლემას იხილავენ ყირგიზეთის დედაქალაქში რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთის პარლამენტარები და მთიანი ყარაბაღის წარმომადგენლები. რუსეთის პარლამენტის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის პარლამენტთაშორისი ასამბლეის თავმჯდომარემ ვლადიმერ შუმეიკომ თავის ინტერვიუში „დიდი [illegible]" უწოდა იმ ფაქტს, რომ აზერბაიჯანი ახლახან დათანხმდა მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკასთან ერთად მიუჯდეს მოლაპარაკების მაგიდას. სომხეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბაბკენ არარქციანმა ერევნიდან გამოფრენის წინ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სომხეთი ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგების მომხრედ რჩება.

კონფლიქტი უკვე მეშვიდე წელიწადია გრძელდება. ამის მიზეზი გახდა მთიანი ყარაბაღის განცხადება აზერბაიჯანის შემადგენლობიდან გამოვდივართო.

გაეროს გენერალური მდივნის საყურადღებო ინტერვიუ

ოსლოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა გაეროს გენერალურმა მდივანმა ბუტროს გალიმ ნორვეგიის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „საერთაშორისო გაერთიანება უკვე დაიღალა და სულ უფრო ნაკლებ ინტერესს იჩენს იმისადმი, რომ გზავნიდეს ჯარებს მშვიდობის მხარდასაჭერად პლანეტის სხვადასხვა რეგიონში. სამოქალაქო ომი ავღანეთში, რომლის დროს დაიხოცა ათობით ათასი ადამიანი, სისხლისმღვრელი ომი რუანდაში, შეიარაღებული კონფლიქტები ყოფილი საბჭოთა კავშირის რიგ რესპუბლიკებში, გაეროს საგანგებო ყურადღებას იმსახურებს, მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალისხმევამ ამ რეგიონებში ვითარების ნორმალიზაციისათვის წარმატება არ მოიტანა. **ჩვენ უნდა გავგზავნოთ გაეროს სამშვიდობო ძალები საქართველოში, ტაჯიკეთში, აუცილებელია გაეროს ძალების გაგზავნა მთიან ყარაბაღში, მაგრამ საერთაშორისო გაერთიანება არ არის განწყობილი იმისათვის, რომ ხარჯოს თანხები ამ და სხვა დიდი კონფლიქტების მოსაგვარებლად და გზავნიდეს იქ სამშვიდობო ძალებს.** „ცივი ომის" დროს საერთაშორისო გაერთიანება მილიარდობით დოლარს ხარჯავდა მშვიდობის მხარდასაჭერად. **მაგრამ, როცა „ცივი ომი" დამთავრდა, საერთაშორისო გაერთიანება უარს ამბობს ხარჯოს თანხები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში სამშვიდობო აქციებისათვის.** შეეხო რა გაეროს მონაწილეობას ბოსნიის კონფლიქტის მოწესრიგებაში, მან აღნიშნა, რომ გაეროს ადანაშაულებენ არაობიექტურობაში ბოსნიაში მტრულად განწყობილი მხარეების მიმართ. მონაწილეობს რა ამგვარი შეიარაღებული კონფლიქტების მოწესრიგებაში, გაერო ყოველთვის იცავს ნეიტრალიტეტის პრინციპს, მაგრამ ნეიტრალიტეტი არ ნიშნავს, რომ არ უნდა დავგმოთ ისინი, ვინც არ ასრულებს გაეროს სათანადო რეზოლუციებს", განაცხადა ბუტროს გალიმ.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

სახელმწიფო პროგრამა „სოიას" შესახებ

საქართველოს მოსახლეობის მაღალკალორიული, ხელმისაწვდომი საკვებით და ეფექტიანი სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით:

1. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის კომიტეტის, ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტროს, ეროვნული ბანკის, შესაბამისი სამეცნიერო დაწესებულებების, კორპორაცია „სოიას", სხვა საწარმოების, ფირმების, კორპორაციებისა და კერძო პირთა უშუალო მონაწილეობით თხუთმეტი დღის ვადაში დასრულდეს ადრე დაწყებული სახელმწიფო პრიორიტეტული პროგრამა „სოიას" შედგენა.

პროგრამის შედგენისა და მისი განხორციელების ხელმძღვანელობა დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრს გ. კვესიტაძეს.

2. სახელმწიფო პროგრამა „სოიაში" ზუსტად და კონკრეტულად განისაზღვროს სოიის სათესლე მასალის, საწარმოო ნედლეულის, ტექნოლოგიების, მოსავლის აღების და გადამამუშავებელი მანქანა-დანადგარების, ჰერბიციდების, ტრეფალანისა და ბაზარგანის, საწვავ-საპოხი მასალის შემოტანის, სოიის დათესვის, მოსავლის აღების, გადამუშავებისა და მოხმარების, სტიმულირების, მეცნიერული კვლევის, მზა ნაწარმის გაყიდვისა და პროპაგანდის საორგანიზაციო, სამეურნეო, სამეცნიერო და საფინანსო ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელების ოპტიმალური გზები და საშუალებანი.

3. პროგრამის განხორციელებაში გამოყენებულ იქნეს როგორც ეროვნული, ისე უცხოური კრედიტები და ჰუმანური დახმარების სახსრები.

4. კორპორაცია „სოიას", მის მიერ წარმოდგენილი ბიზნესგეგმის შესაბამისად, გერმანიისა და ჩინეთის კრედიტებიდან გამოეყოს გრძელვადიანი შეღავათიანი სესხი სოიის ნედლეულისა და გადამამუშავებელი მანქანა-დანადგარების შემოსატანად (პასუხისმგებელი — საქართველოს რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თ. გელეიშვილი).

5. სოია და მისგან მიღებული ნაწარმი შეტანილ იქნეს იმ პროდუქციის ჩამონათვალში, რომლის კვოტირება და ლიცენზირება ხდება სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესით.

6. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა:

ყოველმხრივ შეუწყოს ხელი სოიის გადამამუშავებელი (უცხოელებთან ერთობლივი თუ საკუთარი) საწარმოების შექმნას;

მნიშვნელოვანი შეღავათები დაუწესოს სოიის შემომტან, მწარმოებელ და გადამამუშავებელ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და კერძო პირებს, სამეცნიერო დაწესებულებებსა და მეცნიერებს, როგორც დანახარჯების ნაწილობრივი კომპენსაციით, ისე საბაჟო გადასახდელისაგან გათავისუფლებით.

განახორციელოს სასწრაფო ღონისძიებანი მაისში ათას ჰექტარზე სოიის დასათესად.

7. ბრძანებულების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ხელმძღვანელს ვ. ლორთქიფანიძეს.

ე. შევარდნაძე.

ქ. თბილისი, 1994 წლის 3 მაისი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების პრივატიზებით მიღებული სახსრების გამოყენების დროებითი წესის შესახებ

ქვეყანაში შექმნილ რთულ ინფლაციურ პროცესებსა და მძიმე ფინანსურ ვითარებასთან დაკავშირებით:

1. სახელმწიფო ქონების პრივატიზებით მიღებული სახსრები, მათგან სანოტარო და საშუამავლო ხარჯების, აგრეთვე პრივატიზების განხორციელების ორგანიზაციული ხარჯების დასაფარავად საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისათვის გადასარიცხი ამონაგები თანხის 5 პროცენტის გამოკლების შემდეგ, როგორც დროებითი ღონისძიება, 1994 წელს გამოყენებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესავსებად მიღებული ეროვნული ბანკის კრედიტების დაფარვისა და ფინანსური სტაბილიზაციის ფონდის შესაქმნელად.

2. დაევალოს საფინანსო სისტემის რეორგანიზაციის სამთავრობო კომისიას (თ. ბასილია) ორი კვირის ვადაში მოამზადოს და დასამტკიცებლად წარმოადგინოს ფინანსური სტაბილიზაციის ფონდის დებულება.

3. 1995 წლამდე შეჩერდეს „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების პრივატიზებით მიღებული სახსრების გამოყენების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრის შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 26 ნოემბრის 239 ბრძანებულების მოქმედება.

ე. შევარდნაძე

ქ. თბილისი, 1994 წლის 3 მაისი.

ოფიციალური ქრონიკა

„იბერიის" ლენტიდან

სოხუმი. ბოლო ხანს აფხაზ სეპარატისტთა მოქმედებაში გარკვეული ცვლილებები შეიმჩნევა. მათი ლიდერები ამჟღავნებენ სურვილს, რომ აფხაზეთის რეგიონში შევიდნენ გაეროს ჯარები და რეგიონში რუსეთის ჯარის შეყვანის წინააღმდეგი არიან.

ზოგიერთი მეთვალყურის აზრით, აფხაზ სეპარატისტთა ეს პოზიცია იმით არის განპირობებული, რომ მათ იმედი აქვთ გაეროს საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ზეგავლენა აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე ნომინალურად აქციონ, მაშინ, როცა რუსეთის ჯარების მიმართ იგივეს ვერ გააკეთებენ.

თბილისი. პარლამენტის წევრმა, ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა ჯაბა იოსელიანმა „იბერიის" სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ ორშაბათს გაეროს გენერალურმა მდივანმა უშიშროების საბჭოს წევრებს გაუგზავნა თავისი მოხსენება, რომლითაც იგი, ფაქტობრივად დაეთანხმა ქართული დელეგაციის წინადადებას, რომ აფხაზეთის რეგიონში სამშვიდობო ოპერაციების განხორციელება დაიწყონ რუსეთის ჯარის ნაწილებმა და შემდეგ ამ ოპერაციებში ჩაერთოს გაერო. „ყველაფერი 10 მაისს გადაწყდება. თუ ამ დღეს არ იქნა მიღებული რადიკალური გადაწყვეტილება, შემდეგ გვიან იქნება", — განაცხადა ჯაბა იოსელიანმა.

თბილისი. „რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარების ჯგუფმა „საქართველოში" თავისი კონტინგენტის შევსება დაიწყო საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებით.

თავდაპირველად გაიწვევენ საქართველოს 350 მოქალაქეს, რაც პირველ ეტაპზე სასაზღვრო ჯარების ჯგუფის პირადი შემადგენლობის 10 პროცენტს შეადგენს. შემდგომში საქართველო-თურქეთის საზღვრის დაცვას განახორციელებს ეროვნული ქვედანაყოფი.

თბილისი. რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა თემურ ბასილიამ განაცხადა, რომ ქვეყანაში შემოზიდული პურის ფქვილის 20 პროცენტი უნდა მიეყიდოს კერძო სტრუქტურებს, ხოლო გამომცხვარი პური გაიყიდოს კომერციულ ფასებში, რაც საშუალებას იძლევა რესპუბლიკის ბიუჯეტში შევიდეს 9-10 ტრილიონი კუპონი. როგორც თ. ბასილიამ თქვა, ტალონები პურზე უნდა დაურიგდეთ მხოლოდ პენსიონერებსა და ინვალიდებს, მოსახლეობის დანარჩენმა ნაწილმა კი პური კომერციულ ფასებში — 1 კილოგრამი 100 ათას კუპონად უნდა შეიძინოს. თ. ბასილიამ აგრეთვე განაცხადა, რომ რესპუბლიკის საფინანსო პროგრამა მოითხოვს რადიკალური რეფორმების განხორციელებას, კერძოდ, თავისუფალი ფასების შემოღებას პურთან ერთად გაზსა და ტრანსპორტზე და პრივატიზაციის პროცესის აქტიურ განვითარებას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსები პრიორიტეტულად უნდა გამოიყოს სფეროების მიხედვით. პირველ რიგში დაიწყება სამართალდამცავი ორგანოებისა და რესპუბლიკის თავდაცვის სტრუქტურების დაფინანსება.

თბილისი. უახლოეს ხანში მოსალოდნელია დაიწყოს საქართველოს რესპუბლიკაში არსებული სახელმწიფო კომერციული ბანკების აქციონირება.

თბილისი. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა, რომლებიც საქართველოში იმყოფებოდნენ, შეიმუშავეს რეკომენდაციები ქართული კუპონის გასამტკიცებლად. ეს რეკომენდაციები ითვალისწინებს ინფლაციის ტემპის შემცირებას თვეში 20 პროცენტამდე.

თბილისი. 1994 წლის მეორე კვარტალში საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენს 14 ტრილიონ კუპონს.

თბილისი. „იბერიის" სააგენტოს ცნობით, დღეს, 17.00 სთ-ზე, მცირე ბიზნესის განვითარების ფონდს სამუშაო ვიზიტით ეწვევიან ამერიკელი ბიზნესმენები, რომლებმაც თვითონ გამოთქვეს ქართველ კოლეგებთან შეხვედრის სურვილი.

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტზე ზედამხედველობის პროკურატურის შემოწმების შედეგად გამოვლინდა დარღვევები თბილისის რკინიგზის საავადმყოფოში: აქ შემოსულ ჰუმანურ დახმარებას პაციენტების მაგივრად საავადმყოფოს პერსონალი ინაწილებდა.

ცხინვალი. ე. წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო ნიხასის თავმჯდომარედ ხელმეორედ აირჩიეს ლუდვიგ ჩიბიროვი.

სახელმწიფო ნიხასის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩიეს ზაურ გასიევი, ხოლო მოადგილედ — ა. ზაბისოვი.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ფელიქს გასიევი, პირველ მოადგილედ — ედუარდ გუზიტაევი. ანატოლი ჩეხოევი, რომელიც წარსულში ყოფილი სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდა, დაინიშნა ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად რუსეთის ფედერაციაში.

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრმა ბორის კაკუბავამ სადეპუტატო შეკითხვის წესით მიმართა უშიშროების მინისტრს იგორ გიორგაძეს იმის თაობაზე, რომ შემოწმდეს დეპუტატ ნესტან კირთაძის განცხადება აფხაზეთის განთავისუფლების ორგანიზაციისათვის გამოყოფილი თანხების მითვისების თაობაზე. როგორც ცნობილია, ამ თანხების მითვისებაში ზოგიერთი ადანაშაულებს თავად კაკუბავას. როგორც კაკუბავამ თქვა, არავინ არაფერს ამოწმებს. როგორც მანვე განაცხადა, სახელმწიფოებრივ დონეზე ხდება მის მიმართ ცილისწამება.

თბილისი. როგორც საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა განაცხადა, გარკვეული პირები მას სიკვდილით ემუქრებიან, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოში მზადდება შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება.

თბილისი. საქართველოს პარლამენტის სასოფლო-სამეურნეო კომისიამ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად მოამზადა რამდენიმე დეკრეტის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სოფლად რეფორმების დაჩქარებას, მაგრამ სახელმწიფოს მეთაური ჯერჯერობით თავს იკავებს ამ დეკრეტების ხელმოწერისაგან. როგორც მან თქვა, მას არ სურს პარლამენტის კომპეტენციაში შეჭრა.

თბილისი. აქტიურ მუშაობას შეუდგა საქართველოს რესპუბლიკის საელჩო გერმანიაში კოტე გაბაშვილის ხელმძღვანელობით. მასთან საუბარში გერმანელი ბიზნესმენები აცხადებენ, რომ მზად არიან ითანამშრომლონ საქართველოსთან, მაგრამ მოითხოვენ 15 ძირითადი კანონის მიღებას საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

პროექტი

აღმსარებლობისა და რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. აღმსარებლობისა და რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ კანონის ამოცანები

ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტებსა და შეთანხმებებში გარანტირებულ უფლებათა რეალიზაციის საჭიროებისა და საქართველოში დამკვიდრებული ტრადიციების შესაბამისად ამ კანონის ამოცანებია:

ა) სარწმუნოების სფეროში საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირება, რათა საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე მისი ყველა მოქალაქისათვის, მოქალაქეობის არმქონე პირთათვის და სხვა ქვეყნის მოქალაქეთათვის თანაბრად იყოს უზრუნველყოფილი და ხორციელდებოდეს სარწმუნოების თავისუფლების პრინციპი;

ბ) რელიგიურ ორგანიზაციათა წინაშე სახელმწიფოს ვალდებულებათა განსაზღვრა;

გ) სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე რელიგიურ ორგანიზაციათა ვალდებულებების განსაზღვრა.

მუხლი 2. კანონმდებლობა აღმსარებლობისა და რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ

კანონმდებლობა აღმსარებლობისა და რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, წინამდებარე კანონისა და მათი შესაბამისი საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან.

მუხლი 3. სინდისის თავისუფლების გარანტიები

საქართველოს რესპუბლიკაში ყოველ მოქალაქეს გარანტირებული აქვს სინდისის თავისუფლება, რაც გულისხმობს, რომ ყოველ პიროვნებას უფლება აქვს აღიარებდეს ნებისმიერ სარწმუნოებას ან იყოს ათეისტი, ან შეიცვალოს რწმენა საკუთარი შეხედულებისამებრ.

არავისა აქვს უფლება იძულებით დაამკვიდროს სავალდებულო რწმენა ან მსოფლმხედველობა. დაუშვებელია ყოველგვარი იძულება მოქალაქეთა მიმართ რელიგიისადმი დამოკიდებულების გამოხატვის ღვთისმსახურებაში მონაწილეობის მიღების ან მასზე უარის თქმის, რელიგიის სწავლების საკითხებში.

მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს უფლება აქვთ ერთმანეთთან შეთანხმების საფუძველზე ბავშვები აღზარდონ რელიგიისადმი საკუთარი დამოკიდებულებისა და რწმენის მიხედვით.

ვერავინ დაისჯება რელიგიური მრწამსის გულისთვის.

აღსარების საიდუმლოება დაცულია კანონით. არავის აქვს უფლება დაჰკითხოს ღვთისმსახური ან მოსთხოვოს მას განმარტება აღსარებასთან დაკავშირებული ფაქტების გამო.

მუხლი 4. მოქალაქეთა თანასწორობა რელიგიისადმი მათი დამოკიდებულების მიუხედავად

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები რელიგიისადმი დამოკიდებულების მიუხედავად თანასწორნი არიან კანონის წინაშე სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. ოფიციალურ დოკუმენტებში მოქალაქის დამოკიდებულება რელიგიისადმი არ აღინიშნება.

მოქალაქეთა პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა ან მათთვის რაიმე უპირატესობის მინიჭება რელიგიური ნიშნის მიხედვით, აგრეთვე შუღლისა და სიძულვილის გაღვივება ამ ნიშნით, ან მოქალაქეთა რწმენის, მათთვის წმინდა რელიგიური ადგილების, საგნების ან ნაგებობათა შეურაცხყოფა ისჯება კანონით.

არავისა აქვს უფლება თავისი რელიგიური რწმენის გამო უარი თქვას კონსტიტუციურ მოვალეობათა შესრულებაზე, გარდა იმ განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც ხდება მოქალაქის ერთი მოვალეობის მეორით შეცვლა და რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

მუხლი 5. რელიგიური და ათეისტური გაერთიანებები გამოყოფილია სახელმწიფოსაგან

საქართველოს რესპუბლიკაში რელიგიური და ათეისტური ორგანიზაციები გამოყოფილია სახელმწიფოსგან.

სახელმწიფო იცავს კანონის ფარგლებში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციათა უფლებებსა და ინტერესებს, ხელს უწყობს რელიგიური და მსოფლმხედველობრივი შემწყნარებლობის დამკვიდრებას სხვადასხვა რწმენის მოქალაქეთა და რელიგიურ გაერთიანებათა შორის.

სახელმწიფოს უფლება არა აქვს ჩაერიოს კანონის ფარგლებში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციათა საშინაო საქმეებში.

რელიგიური ორგანიზაციები არ ასრულებენ სახელმწიფო ორგანოების ფუნქციებს.

რელიგიური გაერთიანებები არ მონაწილეობენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების არჩევნებში ან პოლიტიკური პარტიების საქმიანობაში, არ უწევენ მათ ფინანსურ დახმარებას. ამავე დროს, სასულიერო პირებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ისევე, როგორც საქართველოს რესპუბლიკის ნებისმიერ სხვა მოქალაქეს.

რელიგიურ ორგანიზაციებს ეკრძალებათ სხვა რელიგიურ ორგანიზაციათა საქმიანობაში ჩარევა ან რაიმე ფორმით შუღლის ქადაგება სხვა რელიგიის მიმდევართა და ათეისტთა მიმართ.

რელიგიური ორგანიზაციებისა და მათი წარმომადგენლების მოქმედების შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი არღვევენ საქართველოს რესპუბლიკის კანონებს ან საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ წესრიგსა და უშიშროებას, სხვა მოქალაქეთა ჯანმრთელობას, უფლებებსა და თავისუფლებებს.

მუხლი 6. სახელმწიფო და მართლმადიდებელი ეკლესია

საქართველოს სახელმწიფოს ტრადიციული სარწმუნოების გამომხატველია მართლმადიდებლური ქრისტიანობა, რომელიც დღესაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის სარწმუნოებაა. სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის ურთიერთობა რეგულირდება ცალკე ხელშეკრულებით.

მუხლი 7. განათლების სისტემა და რელიგიური ორგანიზაციები

საქართველოს რესპუბლიკაში განათლების სახელმწიფო სისტემა საეროა.

რელიგიური აღზრდა და სწავლა-განათლება პიროვნებას შეუძლია მიიღოს არასახელმწიფოებრივ სასწავლებლებში.

რელიგიურ ორგანიზაციებს უფლება აქვთ შექმნან სასწავლებლები ან ჯგუფები სარწმუნოებრივი სწავლების მიზნით და გამოიყენონ ამისათვის თავიანთი შენობა-ნაგებობები.

რელიგიათმცოდნეობის, რელიგიის ისტორიის (ალტერნატივა: და მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების) საგნები შეტანილია სახელმწიფო სასწავლებლების სასწავლო გეგმებში.

ბავშვს (მოსწავლეს) უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი. სახელმწიფო პატივს სცემს მშობლების (ან აღმზრდელების) უფლებას უზრუნველყონ ბავშვის რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა თავიანთი რწმენისა და შეხედულებების მიხედვით.

ნებისმიერი პირი, რომელიც მოქალაქეთა რელიგიურ აღზრდას ემსახურება, მოვალეა თავისი მოსწავლეები აღზარდოს სხვა რელიგიათა ან ათეისტთა მიმართ შემწყნარებლობისა და პატივისცემის სულისკვეთებით.

მუხლი 8. სახელმწიფოს კონტროლი აღმსარებლობისა და რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ კანონის დაცვაში

სახელმწიფო კონტროლს საქართველოში აღმსარებლობის თავისუფლების კანონის დაცვის საქმეში ეწევიან საქართველოს პარლამენტი და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები, აგრეთვე სათანადო სამართალდამცავი ორგანოები კანონით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 9. საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭო

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიასთან (ალტერნატივა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან) იქმნება საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან რელიგიურ ორგანიზაციათა და სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები.

საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭო:

— ქმნის საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში არსებულ რელიგიურ გაერთიანებათა მონაცემების ბანკს;

— კონსულტაციას უწევს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიას (ალტერნატივა: იუსტიციის სამინისტროს) წინამდებარე კანონის განხორციელების საქმეში;

— აწყობს იურიდიულ კონსულტაციებს და ექსპერტიზას რელიგიის საკითხებზე და იძლევა ოფიციალურ დასკვნებს სახელმწიფო მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების მოთხოვნებზე.

თავი II

რელიგიური გაერთიანებები საქართველოს რესპუბლიკაში

მუხლი 10. რელიგიური ორგანიზაცია

რელიგიური ორგანიზაცია არის საქართველოს სრულწლოვან მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც იქმნება საერთო სარწმუნოების საფუძველზე ერთობლივი აღმსარებლობის განხორციელების მიზნით.

მოქალაქეთა ერთობლივი აღმსარებლობა ნიშნავს კულტის მსახურებას, სარწმუნოების გავრცელებას უშუალოდ და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, ქველმოქმედებას, მოწყალებას, რელიგიურ სწავლებას და აღზრდას, მონასტრების, მისიონერული საზოგადოებების დაარსებას და ამ რელიგიურ გაერთიანებათა წესდებით გათვალისწინებულ სხვა მოღვაწეობას.

მუხლი 11. რელიგიური გაერთიანება — იურიდიული პირი

მოქალაქეთა რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებას, რომელშიც 10 (ალტერნატივა: 30) ან მეტი მორწმუნეა, იურიდიული პირის ყველა უფლება აქვს.

მუხლი 12. რელიგიურ გაერთიანებათა წესდების (დებულების) რეგისტრაცია

მოქალაქეებს, რომლებიც ქმნიან რელიგიურ გაერთიანებას, იურიდიული პირის უფლების მოსაპოვებლად შეაქვთ განცხადება საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში ან მის ქვემდებარე რეგიონულ ორგანოში (იმის მიხედვით, თუ რომელ ტერიტორიაზე ვრცელდება რელიგიური ორგანიზაციების მოღვაწეობა).

იმ შემთხვევაში, თუ ახალი რელიგიური გაერთიანება არ შედის რომელიმე რეგიონული ან ცენტრალური რელიგიური კონფესიის შემადგენლობაში (რაც უნდა დაადასტუროს სათანადო კონფესიამ), იუსტიციის სამინისტროს სათანადო ორგანო დასკვნისათვის მიმართავს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიასთან (ალტერნატივა: იუსტიციის სამინისტროსთან) არსებულ საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს.

(დასასრული მე-2 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

პროექტი

აღმსარებლობისა და რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ

(დასასრული)

ცენტრალურ ან რეგიონულ კონფესიაში შემავალი ახალი რელიგიური გაერთიანების რეგისტრაცია უნდა მოხდეს 1 თვის ვადაში, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში — არა უგვიანეს 2 თვისა.

ცენტრალურ ან რეგიონულ კონფესიაში შემავალი ახალი რელიგიური გაერთიანების წესდების (დებულების) ცვლილებების ან დამატებების რეგისტრაცია ხდება იმავე წესით და იმავე ვადებში, როგორც თვით წესდების (დებულების) რეგისტრაცია.

წესდების (დებულების) ან მისი დამატებებისა და ცვლილებების რეგისტრაციაზე უარი რელიგიურ გაერთიანებას შეიძლება ეთქვას მხოლოდ მაშინ, თუ მისი შინაარსი ეწინააღმდეგება ამ კანონს ან საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებს. ასეთ შემთხვევაში განმცხადებელს წერილობით უნდა ეცნობოს მოტივირებული უარი განცხადების შეტანიდან 2 თვის ვადაში.

წესდების (დებულების) რეგისტრაციაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 13. რელიგიურ გაერთიანებათა წესდება (დებულება)

სარეგისტრაციოდ წარდგენილ რელიგიური გაერთიანების წესდებაში (დებულებაში) უნდა იქნეს მითითებული:

ა) რელიგიური გაერთიანების დასახელება, ადგილმდებარეობა და მოღვაწეობის ტერიტორია;

ბ) გაერთიანების მიზანი, ამოცანები და მოღვაწეობის ძირითადი ფორმები;

გ) რელიგიური გაერთიანების სტრუქტურა და მართვის ორგანოები;

დ) რელიგიური გაერთიანებისა და მისი წევრების უფლება-მოვალეობანი;

ე) სახსრების წყაროები, გაერთიანების შიგნით და სხვა გაერთიანებებთან ქონებრივი ურთიერთობა (თუ ასეთი რამ გათვალისწინებულია წესდებით);

ვ) წესდებაში (დებულებაში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი.

საქართველოს რესპუბლიკის ყველა რელიგიური გაერთიანება, მისი წესდებით (დებულებით) გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენციის გარეთ მყოფ რელიგიურ გაერთიანებებთან ურთიერთობის ხასიათის მიუხედავად, მოღვაწეობს რესპუბლიკის კანონმდებლობის ფარგლებში.

მუხლი 14. რელიგიური გაერთიანების მოღვაწეობის შეწყვეტა

რელიგიური გაერთიანების მოღვაწეობა შეიძლება შეწყდეს:

ა) რელიგიური გაერთიანების დამფუძნებელთა საერთო კრების, ყრილობის (კონფერენციის) გადაწყვეტილებით, მისი რეორგანიზაციის (გაყოფა, სხვა ორგანიზაციასთან გაერთიანება) ან თვითლიკვიდაციის (დაშლის) შემთხვევაში;

ბ) სასამართლოს დადგენილებით, თუ რელიგიური გაერთიანების საქმიანობა ეწინააღმდეგება მის წესდებას (დებულებას) ან რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობას.

გაერთიანების ცალკეული წევრების მიერ კანონმდებლობისა და წესდების (დებულების) დარღვევა მთელი გაერთიანების პასუხისმგებლობის საბაბად ვერ გამოდგება.

მუხლი 15. ღვთისმსახურების რიტუალი, რელიგიური ლიტერატურა და კულტის საგნები

მოქალაქეებსა და რელიგიურ გაერთიანებებს უფლება აქვთ შეუფერხებლად მოაწყონ ღვთისმსახურება სამლოცველო სახლებსა და მათ კუთვნილ ტერიტორიაზე, აგრეთვე სასაფლაოებზე, მოქალაქეთა სახლებში და ბინებში, ხოლო სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა თანხმობით — სხვა საზოგადოებრივ ადგილებშიც.

მოქალაქეებს უფლება აქვთ მოითხოვონ და მოაწყონ ღვთისმსახურების რიტუალი სამხედრო ნაწილებში, სამკურნალო დაწესებულებებში, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლებში, საბავშვო სახლებსა და ინტერნატებში, საპატიმროებში — კანონით განსაზღვრულ ადგილებში, აღნიშნული დაწესებულებების ადმინისტრაცია ვალდებულია ყოველნაირად შეუწყოს ხელი საქართველოს მოქალაქეთა ამ უფლების რეალიზაციას.

რელიგიურ ორგანიზაციას უფლება აქვს გამოსცეს, ან შეიძინოს და გაავრცელოს რელიგიური ხასიათის ლიტერატურა და საკულტო საგნები.

სარწმუნოებრივი ხასიათის პერიოდული გამოცემებისა და სხვა რელიგიური ლიტერატურის გამოცემა, რომელიც არ არის დაკავშირებული ღვთისმსახურებასთან, ხორციელდება ბეჭდვითი ორგანოს და მასობრივი ინფორმაციის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად

მუხლი 16. რელიგიური ორგანიზაციების საქველმოქმედო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, საერთაშორისო კავშირები

რელიგიურ ორგანიზაციებს უფლება აქვთ ეწეოდნენ საქველმოქმედო მოღვაწეობას როგორც უშუალოდ, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ფონდების მეშვეობით. მათ უფლება აქვთ შექმნან კულტურულ-საგანმანათლებლო და მასობრივი ინფორმაციის ბეჭდვითი ორგანოები.

რელიგიური ორგანიზაციები ახორციელებენ საერთაშორისო კონტაქტებსა და კულტურულ კავშირებს, მონაწილეობენ საერთაშორისო შეკრებებში, იწვევენ ამ მიზნით უცხოელ მოქალაქეებს.

თავი III

რელიგიური ორგანიზაციების ქონებრივი და ფინანსური ურთიერთობანი

მუხლი 17. რელიგიური ორგანიზაციების საკუთრება და სამეურნეო საქმიანობა

რელიგიური ორგანიზაციების საკუთრებაში შეიძლება იყოს ნაგებობები, საკულტო საგნები, საწარმოო, სოციალური, საქველმოქმედო და კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულების ობიექტები.

რელიგიურ ორგანიზაციას შეუძლია ჰქონდეს საკუთრება სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე.

რელიგიური ორგანიზაცია განკარგავს თავის საკუთრებას, როგორც სრულუფლებიანი იურიდიული პირი. მისი საკუთრება დაცულია კანონით.

რელიგიურ ორგანიზაციებს, როგორც იურიდიული პირის უფლებების მქონეთ, შეუძლიათ განახორციელონ საწარმოო და სამეურნეო საქმიანობა და მიწათსარგებლობა კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში.

საკულტო ნაგებობების — საქართველოს რესპუბლიკის საისტორიო და კულტურის ძეგლების რესტავრაციას რელიგიური ორგანიზაციები აწარმოებენ მხოლოდ ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანიზაციასთან შეთანხმებით ამ უკანასკნელის მიერ დამტკიცებული პროექტის საფუძველზე. სახელმწიფო მატერიალურად ეხმარება რელიგიურ ორგანიზაციებს საკულტო ნაგებობათა რესტავრაციაში.

მუხლი 18. რელიგიური ორგანიზაციების დაბეგვრა

რელიგიურ ორგანიზაციათა საკუთრებაზე დამყარებული საწარმოო და საგამომცემლო საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი იბეგრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

ქონებრივი და ფინანსური შეწირულობანი რელიგიური ორგანიზაციების სასარგებლოდ, აგრეთვე მთელი ის თანხები, რომლებსაც რელიგიური ორგანიზაცია გადარიცხავს საქველმოქმედო და კულტურულ-საგანმანათლებლო (ალტერნატივა: აგრეთვე სარესტავრაციო) მიზნით, არ იბეგრება.

მუხლი 19. შრომითი ურთიერთობა, სოციალური უზრუნველყოფა და დაზღვევა რელიგიურ ორგანიზაციებში

მოქალაქეთა შრომითი ურთიერთობა რელიგიურ გაერთიანებებში, მათ ქვემდებარე საწარმოებსა და დაწესებულებებში ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონმდებლობის პრინციპების შესაბამისად.

მოქალაქენი, რომლებიც რელიგიურ გაერთიანებებში მსახურობენ (კულტის მსახურთა ჩათვლით), სოციალურად უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ისევე, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დანარჩენი მოქალაქენი.

მუხლი 20. რელიგიური გაერთიანების ქონების განკარგვა მისი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში

რელიგიური ორგანიზაციის თვითლიკვიდაციის ან მისი საქმიანობის სხვა ფორმით შეწყვეტის შემთხვევაში ამ ორგანიზაციის ქონებრივი საკითხები წყდება მისი წესდების (დებულების) ან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თუ არ არსებობს ლიკვიდირებული რელიგიური ორგანიზაციის სამართალმემკვიდრე, მისი მთელი ქონების მემკვიდრეა სახელმწიფო.

მუხლი 21. პასუხისმგებლობა აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ კანონის დარღვევისათვის

აღმსარებლობისა და რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ კანონის დარღვევა გამოიწვევს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

მუხლი 22. საერთაშორისო ხელშეკრულებათა გამოყენება

თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილია ამ კანონში გათვალისწინებული წესებისაგან განსხვავებული წესები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი ნორმები.

დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს ვთხოვთ, შენიშვნები და წინადადებები წინამდებარე კანონპროექტის შესახებ წარმოადგინონ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიაში.

დისკუსია: როგორ ვუშველოთ საქართველოს?

აჩირებული ზნე გვჭირს ქართველებს.

წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: მივსევივართ სიცოცხლის ხეს, მუხას, უფრო უგუნურად და უდიერად ვექცევით, ვიდრე ამას კრილოვის ერთი იგავ-არაკის ოთხფეხა პერსონაჟი სჩადის, ვუჭნევთ და ვურტყამთ აქეთ-იქიდან, ვუჩანჩქურებთ ცულსა თუ ნაჯახს, თანაც ისეთი გამეტებით, თითქოს ერთმანეთს ვეჯიბრებოდეთ მკლავის ძალასა და სიმარჯვეში. და როცა ერთს შექანდება საცოდავი ხე, წასაქცევად განემზადება, მაშინღა ვიტკიცავთ შუბლში ხელს, გავიოცებთ, ეს რა დაგვმართნია. დავუწყებთ ერთმანეთს დაბრალებას, ვეძიებთ დამნაშავეს, ვის მოუვიდა ნეტა თავში ამისთანა ვერაგული აზრიო. გამოვალთ მერმე და ინდიელთა ბელადის საკადრისი სიდინჯით შევუდგებით განსჯას: რა ვუყოთ ახლა ამ ხეს, გავიმეტოთ თუ არა გასახმობად? გადავარჩინოთ თუ არა წაქცევას?

რამდენჯერ დაგვმართნია ასე?!

განა ჩვენი ბრალი არ არის, ჩვენვე არ მოვიმოქმედით ყველაფერი საიმისოდ, ბოლოს „თანამეგობრობაში" რომ ამოგვეყო თავი? მერე ქოთქოთისა და ვიშვიშის ატეხა რის მაქნისია. ვინ წაეკიდა ერთურთს გურამიშვილის ორი მოჩხუბარი მამალივით, ვინ დაუსისხლიანა ერთმანეთს თავპირი? წამკიდებელო, წაჰკიდეო, ორივეს თავი წასწყვიტეო. კარგად ვიცით ამ ანდაზის ამბავი, ჭკუა კი მაინც ვერ გვისწავლია. იქამდე მივედით, ლამის სოხუმისებრი ტრაგედიით გამასპინძლებას ვუპირებდით ჯერ ქუთაისს, მერე — თბილისს, იმავე წამკიდებელს ერთ-ერთი მხარისთვის რომ არ დაეყრევინებინა ფარ-ხმალი.

ან ვისი ბრალია, აფხაზეთში ნაწვნევი ესოდენ სავალალო და სამარცხვინო მარცხი? კი, ჩვენთან მოჩხუბარ „ყოჩებს" ზურგს უკან გოლიათი ედგა მფარველად და წამქეზებლად და ხელის თავისუფლად მოქნევის საშუალებას არ გვაძლევდა (ბ-ნ კიტოვანის ხატოვანი შედარებისა არ იყოს), თორემ ასე ადვილად ვერ გვადენდნენ ცხვირში ძმარს. ოღონდ, ერთი ესეც ვიკითხოთ: რამდენად გონივრულად და წინდახედულად წარვმართეთ ურთიერთობა იმ გოლიათთან? სხვა ვინ მოიქცა ჩვენსავით უგუნურად ამ მხრივ? განა ჩვენ არ ვიყავით, ნაცარქექიასავით რომ ვედიდგულებოდით, ვლანძღავდით, და გამომწვევად გვეჭირა თავი? მოვტყუვდით, ვერ გავითვალისწინეთ, ბრიყვი დევები რომ აღარ არიან ამქვეყნად, ჭკუაცა და ეშმაკობაც ჩვენზე მეტი თუ არა, ნაკლებიც არა აქვთ, საკუთარი ხუთი თითივით ვყავართ შესწავლილი და ჩვენი ნაცარქექიობის ამბავიც ჩვენზე უკეთესად იციან.

განა ჩვენ არ ვიყავით, ყოველნაირად რომ ფეხს ვითრევდით, ვეწინააღმდეგებოდით რუსეთთან ხელშეკრულების დადებას, თუმცა, ვიცოდით, რაც უფრო ვაჭიანურებდით, ვაჭანჭლებდით ამ საქმის მოგვარებას, მით მეტად ვზარალდებოდით და კიდევ მეტად დავზარალდებოდით სამერმისოდ, მით უმეტეს, აფხაზეთის ომში ჩათრეული ქვეყნის პირობაზე, რადგან დამარცხების შემთხვევაში, გაცილებით უფრო სამძიმო კომპრომისზე წასვლა მოგვიხდებოდა?

ან მაშინ როგორ მოვიქეცით, როცა აფხაზეთის ომის ბედი წყდებოდა, როცა სოხუმს განსაცდელი შეექმნა? რა განვაცხადეთ პარლამენტის ტრიბუნიდან? განა განვაცხადეთ, წავიდეთ, მივეშველოთ, დავიცვათ ქალაქი, რადაც უნდა დაგვიჯდესო? არა, იმ გადამწყვეტ ჟამს ულტიმატუმის წამოყენება ვამჯობინეთ: თუ სოხუმი დაეცა, ტახტზე მჯდომმა ტახტი უნდა დათმოსო. ასე ვამხილეთ ჩვენივე თავი, ასე გავამჟღავნეთ ჩვენი ნამდვილი ზრახვა და „ტაქტიკა". ოღონდ რამენაირად, რაც შეიძლება ახლოს, მივჩოჩდეთ ტახტთან. ოღონდ, მერე ზედ აცოცებაც მოვახერხოთ როგორმე, თანაპარტიელ-თანამოაზრეებსაც „თბილ-თბილი" სავარძლები ჩამოვურიგოთ. და, ქვეყნის ბედს, ხალხის ბედს რას დავეძებთ. ყოველ შემთხვევაში, თუ ჩვენმა ფანდმა არ გაჭრა, წყალს ხომ მაინც ავამღვრევთ და ამღვრეულ წყალში თევზს უფრო ადვილად დავიჭერთ. ეგეც ხომ საქმეა.

განა მსგავსი ამბავი არ მეორდება ახლაც, როცა სამანეთო სივრცეში შესვლის აუცილებლობის წინაშე დავდექით? ალიაქოთის ატეხას ვცდილობთ, აჟიოტაჟს ვქმნით. თუ ვინმემ გაბედა და გულახდილად თქვა მკაცრი სიმართლე, არ მოგვწონს, თავს ვესხმით, ვთათხავთ; იცოდე, ამისთანა რამეებში მაგრები ვიყოთ! ოფიციალურ პირთა მეტი წილი, ეტყობა, თავს არიდებს სიმართლის თქმას. გამოდის (რადიოთი, ტელევიზიით) ერთი თანამდებობის პირი, ვისაც კომპეტენტური აზრის გამოთქმა მოეთხოვება, მოეთხოვება მკაფიო პასუხის გაცემა კუპონის გამაგრების რეალური შესაძლებლობის შესახებ, და ფრთხილად, მიკიბულ-მოკიბულად მსჯელობს. გამოდის, მეორე და ისიც იმავე ყაიდაზე ლაპარაკობს, წილადობილას მართავს... არგუმენტები? არგუმენტები ისეთი მოჰყავთ, რისიც ალბათ, თავადაც არა სჯერათ. სახელმწიფოებრივი ქონების პრივატიზაციაცა და უცხოური კრედიტის გამოყენებაც ახალგამოშვებული კუპონის გასამაგრებლად თავიდანვე იყო ნავარაუდევ-გათვალისწინებული, მაგრამ ამას, როგორც ვნახეთ, სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. რა გარანტიაა, რომ იმავე საშუალებათა გამოყენება (და აწ უკვე წამხდარ საქმეს გამოგვასწორებინებს? ამის არავითარი გარანტია არ არის. მოდით, ნუ მოვიშველიებთ ანალოგიის მეთოდს და ტყუილად ნუ შევადარებთ თავს ყაზახს, თურქმენს, ან ბალტიისპირელს. ერთიც, მეორეც და მესამეც მამულიშვილურად მოეპყრნენ თავ-თავიანთ ქვეყანას; ჩვენსავით ურჯულოდ არ მოქცევიან, არ გაუჩანაგებიათ და არ გაუპარტახებიათ. რუსეთთან ურთიერთობაც თავისდა სასარგებლოდ გამოიყენეს, ჩვენსავით ეკონომიკური ბლოკადა არ გამოუცხადებიათ რუსეთისთვის, რის საპასუხოდაც ნამდვილი ეკონომიკური ბლოკადის სიმწარე ვიგემეთ. ყაზახეთიცა და თურქმენეთიც ძვირფასი ნედლეულით მდიდარი ქვეყნებია, იმ ნედლეულითაც უმაგრებენ ზურგს თავიანთი ფულის ნიშანს. ბალტიისპირეთი შრომობს, დოვლათს ქმნის, ტრადიციულ დარგს — სოფლის მეურნეობას აღორძინებს, წელს იმაგრებს. ჩვენ კი ამასობაში მთლად დავაქციეთ ჩვენი სოფლის მეურნეობა, თანაც ისე გაგვიტკბა იარაღით თარეში, ყაჩაღობა, რომ ჯერაც ავტომატისკენ უფრო გვიჭირავს თვალი, ვიდრე მიწისკენ...

სამანეთო სივრცეში თუ შევალთ, ბიუჯეტის, განსაკუთრებით სამხედრო ხარჯის შეთანხმება მოგვიწევს მოსკოვთანო, სწუხან მამულის გულშემატკივრები. ვიდრე ბიუჯეტის ვისმესთან შეთანხმების საკითხი დადგებოდეს, ჯერ უნდა გქონდეს იგი. ციფრების შეკოწიწებას არ ეთქმის მყარი, საიმედო ბიუჯეტი. ან რა ფასი უნდა ჰქონდეს გაუფასურებულ კუპონზე დაგეგმილ შემოსავალს, გინდაც მოხდეს საკვირველება და ამჟამინდელ ვითარებაში შესრულდეს შემოსავლის ნაწილი. ანდა, რა გამართლება უნდა ჰქონდეს სახელმწიფოებრივი ქონების პრივატიზაციას იმავე გაუფასურებული კუპონის მეშვეობით, თუ საერთოდ დაგვრჩა კიდევ რაიმე საპრივატიზაციო გაძარცულ-გაქურდულ ქვეყანაში, რა გამართლება უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს, იმგვარ ვითარებაში, როცა არსებობს „შავი" ბაზარი, გაჩაღებულია ფულით ვაჭრობა, ფულით სპეკულაცია, როცა კაცმა არ იცის სად, ვის ხელში მიედინება ჩვენი კუპონი, რა მიზნით მიედინება, და როცა ხელისუფლება უძლურია აღკვეთოს ეს ფინანსური მანკიერება. რაც შეეხება რუსეთს, სამანეთო სივრცეში შეუსვლელადაც ისე მარჯვედ ჩაგვაბა საყელურში ჩვენივე უთაურობის წყალობით, რომ გვიჯობს, აწ მაინც გამოვიჩინოთ ჭკუა და თავი ვანებოთ ფაფხურს.

დღეს ყოველმა დიასახლისმაც კი იცის, რომ კუპონი მკვდარია, ჩენჩოდ ქცეულა, მწვანილი რა არის, იმასაც კი ვერ გაყიდვინებს. ყველა კუთხე-ალაგიდან გამოაძევეს, მეტროს და პურის მაღაზიის გარდა, თითქმის აღარსად შერჩა თავშესაფარი. ვერ ვუპატრონეთ ჩვენს პირმშოს, ხელში ჩაგვაკვდა. ადამ სმითიც რომ წამოვაყენოთ საფლავიდან და მოვიწვიოთ, საუბედუროდ, ისიც ვერ შეძლებს, ქრისტესებური სასწაული მოახდინოს და ლაზარესავით მკვდრეთით აღგვიდგინოს.

რას იზამდა ჭკვიანი კაცი ამგვარ ვითარებაში, რაკი ნახავდა, არჩევანის კი არა, აუცილებლობის წინაშე ვდგავარო? ის შეეცდებოდა, თვალი გაესწორებინა მკაცრი სინამდვილისთვის, რაც შეიძლება მალე დაეკანონებინა ფაქტობრივი მდგომარეობა, არ ეფართხალა მდინარის დინების საწინააღმდეგოდ, ტყუილად არ დაეკარგა ძვირფასი დრო. შეეცდებოდა, საქმე მოეგვარებინა ჩრდილოელ მეზობელთან, რომ მანეთი ზიარი ჰქონოდათ. ამ გზით თუ მოვახერხებთ ჩამკვდარი წარმოების გამოცოცხლებას, საჭირო ნედლეულის შემოტანას, ეკონომიკურად თანდათან მოღონიერებას, რათა რამდენადმე მაინც მყარი საფუძველი შევუქმნათ ეროვნული ფულის შემოღებას. დღეს რიგითი ინტელიგენტიც გეტყვით ჩვენში, რომ ეროვნული ფულის სიმყარის უპირველესი პირობა ისაა, რომ მას ჰქონდეს სასაქონლო უზრუნველყოფა სამამულო წარმოების, ფეხზე დამდგარი ეკონომიკის მეშვეობით, მით უმეტეს, თუ არ გაგაჩნია უზრუნველყოფა სათანადო ოქროს მარაგის სახით.

იქნებ რეალისტობა ვამჯობინოთ დონკიხოტობას!

თუმცა, ის, რაც იცის საშუალო დონის ინტელიგენტმა, და ისიც, კი, რაც იცის ყოველმა დიასახლისმა, ჩვენი არეოპაგის ბევრი წევრისთვის რატომღაც გაუგებარია. ეტყობა, ბევრი ჩვენი დეპუტატი ჯერაც არ განთავისუფლებულა ქარის წისქვილებთან მებრძოლი რაინდის კომპლექსისგან.

სულ ახლახან პრესაში გამოქვეყნდა ფრიად საყურადღებო ცნობა, რომელიც გვაუწყებს, რომ „საქართველოს პარლამენტი თავის უახლოეს სხდომაზე მიიღებს დადგენილებას, რომლითაც დაავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოებს, კუპონის გამყარების მიზნით, მიიღონ ყველა ზომა საქართველოს ფინანსური ბაზრის რუსული მანეთის აგრესიისაგან დასაცავად".

თავი რომ დავანებოთ ამ დიდგულა ტონს, რასაც მჟავე პატრიოტიზმის ესოდენ ნაცნობი სუნი უდის, თავი რომ დავანებოთ იმასაც, თუ რამდენად შეეფერება ფულს პირდაპირი მნიშვნელობით, უბრჭყალებოდ ნახმარი სიტყვა „აგრესია", იქნება ერთხელ მაინც გვეკითხა ჩვენი თავისთვის: სულ რომ სხვაგან ვეძებთ ბრალეულსა და დამნაშავეს, იმას რომ ვლამობთ, სხვის თვალში ბეწვი შევნიშნოთ, ეგება ბოლოს და ბოლოს, საკუთარ თვალში დირე დავინახოთ? ეგებ გვიჯობდეს, მანეთის აგრესიაზე ლაპარაკის მაგიერ ისა ვთქვათ, რატომ გამოდგა ესოდენ უნიათო, ესოდენ უღლეური ჩვენი კუპონი. რატომ დაგვეჯაბნა ასერიგად. რატომ არ აღმოაჩნდა კონკურენციის გაწევის არავითარი უნარი. არადა, თუ „დაჯაბნაზე" მიდგა საქმე, ბარემ ისიცა ვთქვათ, განა მარტო მანეთი, დოლარიცა და მარკაც „არ დაგინდობს", თუ შენ თვითონ კონკურენტუნარიანი არ აღმოჩნდი.

ვაი რომ, დადგენილებებითა და დეკრეტებით აქ საქმეს ვერ უშველი. ძნელი დასაჯერებელია, ეს არ იცოდნენ იმ დეპუტატებმა, რომლებიც ადმინისტრაციული ზომების განხორციელებას მოითხოვენ და იმედს ამაზე ამყარებენ. სანამ ცოცხალი იყო ჩვილი არსება, ვერ მოვუარეთ, მოკვდა და რაღას გავაცოცხლებთ. მაშ, რა საჭიროა, ამ ტრაგიკომედიას რომ ვმართავთ ხალხის წინაშე?

არაერთი ჩვენი დეპუტატი, სამწუხაროდ, მოსწყდა ხალხს, არ ესმის მისი ჭირ-ვარამი; ბევრი მათგანი ძველი ყაიდის სახელმწიფო მოხელეს დაემსგავსა, გაჩინოვნიკდა, არა აქვს კავშირი ამომრჩევლებთან, არ ხვდება მათ, არ ისმენს მათს გულისნადებს, არ ითვალისწინებს მათს მოთხოვნებსა თუ წინადადებებს. ჯერ კიდევ რუსეთთან დასადები ხელშეკრულების აგრე გაჭანჭლებულ მომზადების პერიოდში საქართველოს მსხვილ საწარმოთა ხელმძღვანელები საჯაროდ გამოდიოდნენ და ითხოვდნენ, როგორმე დაეჩქარებინა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება რუსეთთან, რადგან, უამისოდ ვერ შევძლებდით რუსეთის ნედლეულისა და მისსავე ბაზარზე დამოკიდებული წარმოების აღდგენას. ხმა მათი დარჩა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. შედეგი რაც ვიწვნიეთ, ყველამ კარგად ვნახეთ. საინტერესოა, გრძნობენ თუ არა ამჟამად დონკიხოტურად განწყობილი დეპუტატები პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ ჩვენი ფულის შემყურე მოსახლეობა უმძიმეს გასაჭირს განიცდის? რა პასუხს გასცემენ ისინი თავიანთ ამომრჩევლებს, თუ ეს უკანასკნელნი, მოთმინების ფიალაავსებულნი, იძულებულნი შეიქნებიან, შრომის ანაზღაურება მანეთის მეშვეობით მოითხოვონ?

წინა და ამ ხელისუფლების დროსაც ჩატარებულმა არჩევნებმა დაგვანახა, რომ ჩვენი პირობებისთვის ჯერჯერობით სრულიად მიუღებელია ამჟამად მოქმედი არჩევნების წესი, რომლის მიხედვითაც დეპუტატთა დიდი უმრავლესობა პარტიული სიებით აირჩევა. რა დასამალია და, ჩვენი პარტიები უმთავრესად ეროვნული მოძრაობის ემოციურმა ტალღამ, მიტინგებისა და ლოზუნგების ტალღამ წამოატივტივა; მათ არ მოჰყოლიათ და, ბუნებრივია, ვერც მოჰყვებოდათ ის ცოდნა და გამოცდილება, რაც აუცილებელია ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში მოღვაწეობისთვის. ამ მხრივ, ისინი ძირეულად განსხვავდებიან დასავლური ტიპის პოლიტიკური პარტიებისგან. ამიტომ, დასავლური საარჩევნო სისტემის ბრმად გადმოღება აშკარად ნაადრევი და გაუმართლებელია. ესეც არ იყოს, გაინაღდებენ თუ არა ადგილებს, პარლამენტში, ჩვენი პარტიები თავიანთ ეგოისტურ მიზნებზე, პოლიტიკური ბრძოლის ფანდებსა და კინკლაობაზე უფრო მეტს ფიქრობენ, ვიდრე ქვეყნის ბედზე, ხალხის მდგომარეობაზე. თუ ხალხმა მტკიცე ნება არ გამოიჩინა და არ მიაღწია ამჟამად არსებული საარჩევნო კანონის შეცვლას, თუ თავად არჩევნები წესისა და რიგისამებრ არ ჩავატარეთ, თუ სამერმისოდ მაინც არ გვეცოდინება, სახელდობრ ვის ვირჩევთ, რა პიროვნებას ვირჩევთ, ისე საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალის შესაფერისი არეოპაგი არ გვეყოლება. ისე კვლავ დიდი გასაქანი ექნება პოლიტიკანობას, ინტრიგანობას, პოლიტიკურ ავანტიურიზმს.

იქნება ახლა მაინც ცოტათი მოგვეთოკა ჩვენი პოლიტიკური ვნებები, იქნება ანგარიში გაგვეწია საღი აზრისთვის, რაგინდ მკაცრი, არასახარბიელო სინამდვილისგანაც უნდა გამომდინარეობდეს იგი: ეგებ ბოლოს და ბოლოს, რეალისტობა ვამჯობინოთ დონკიხოტობას!

თენგიზ ჩხაიძე.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი მსოფლიო მეტეოროლოგიურ ორგანიზაციაში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით **ნიკოლოზ ირაკლის ძე ბერაძე** — საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს მონიტორინგის მთავარი სამმართველოს უფროსი — დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენლად მსოფლიო მეტეოროლოგიურ ორგანიზაციაში. ამასთანავე მას დაევალა ურთიერთობა იქონიოს მსოფლიოს მეტეოროლოგიურ ორგანიზაციასთან ყველა სახის საკითხის შესახებ.

ცინცხალი ამბები

სიღნაღის რაიონში

რაიონის ცალკეულ ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ინიციატივით შეიქმნა აღორძინების რაიონული ფონდი. შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდება მდინარე ალაზანზე მცირე ჰესისა და კულტურის სახლის მშენებლობებს, სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებას, სოციალურად დაუცველი მოქალაქეების უფასო კვებას და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემების უსწრაფესად გადაწყვეტას.

ელექტროენერგიის დეფიციტის გამო, ოთხ თვეზე მეტ ხანს შეჩერებული იყო რაიონული გაზეთის „ქიზიყის" გამოცემა. და აი, დღეისათვის მდგომარეობა უკეთესობისაკენ მიდის. ამ დღეებში გამოვიდა გაზეთის პირველი ნომერი, რედაქცია პირდება მკითხველებს, რომ მათი გაზეთი კვლავინდებურად მკითხველთა განუყრელი მეგობარი და თანაშემწე იქნება.

ქალაქ სიღნაღსა და წნორში ამ დღეებში გაიხსნა [illegible] და უპოვართა უფასო სასადილო, დღეში 3-ჯერადი კვებით. ვისაც ფიზიკურად არ შეუძლია სასადილოში მისვლა, კერძებს ბინაზე უგზავნიან. საზოგადოებრივმა და კერძო სტრუქტურებმა გამოიჩინეს ინიციატივა, დაწესებულია მორიგეობა, სასადილოები უზრუნველყოფილი არიან ბოსტნეულით და სხვა საკვები პროდუქტებით.

ამ დღეებში სიღნაღის სატყეო მეურნეობიდან 20.500 ნერგზე მეტი გაიტანეს დასარგავად რაიონის სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებების მუშაკებმა. მათგან 1500 ნერგი დარგო ანაგის საკრებულომ, 600 — წნორმა, 500 — საქობომ, 400 — სიღნაღმა, 300 — ქვემო მაჩხაანმა.

თავად სატყეო მეურნეობის მუშაკებმა 1700 ნერგი დარგეს და ახარეს, მალე აშრიალდება ახალდარგული იფნის, კაკლის ხეები.

ქალაქ წნორის საკრებულოში შემავალი ასანურის დასახლებაში დაახლოებით ათასამდე კომლი ცხოვრობს. აქაურებს უკვე რამდენიმე წელია არ ყოფნიდათ სასმელი წყალი.

და აი, საკრებულოს ახალმა ხელმძღვანელმა — არჩილ მჭედლიშვილმა თავისი მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ უპირველესად ხალხის თხოვნას მიაპყრო ყურადღება. დაინტერესდნენ და აღმოაჩინეს ჭაბურღილი, რომელიც თვითდინებით მართალია, მცირე წყალს იძლეოდა, მაგრამ გადაწყვიტეს, დაედგათ ახალი წყალსაქაჩი, რამაც წყლის დებეტი მნიშვნელოვნად გაზარდა. ამავე დროს ჩაწყვეს წყალსადენის მილები და ყოველ ას მეტრში ახალი ონკანები დააყენეს, რის შედეგადაც წყალი ყველას ყოფნის — ამოისუნთქა ხალხმა.

ნაზი იმნაიშვილი,
„საქართველოს რესპუბლიკის" საკუთ. კორ.

თუ ქვეყნის ბედი გვაფიქრებს

რექტორი საკუთარ მანქანას ყიდის და... ინსტიტუტისთვის ავტობუსს ყიდულობს



ამ დღეებში ზეიმი ჰქონდათ კომერციის სახელმწიფო ინსტიტუტში — „შექსპირის დღე". უცხოური ენების პედაგოგებს კათედრის გამგის მოადგილის მანანა ქურციკაშვილის ხელმძღვანელობით დიდი შრომა გაეწიათ სტუდენტთა ამ მშვენიერი საღამოს მოწყობისათვის. დიდ ინგლისელ დრამატურგსაც პატივი მიაგეს მისი დაბადების დღის აღსანიშნავად და ისიც კარგად წარმოაჩინეს, რომ აქ ახალგაზრდობის სულიერი აღზრდისთვის ბევრს ზრუნავენ. ეს ხაზგასმით აღნიშნეს სტუმრებმა: განათლების მინისტრის მოადგილემ გია მათიაშვილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტებმა ინესა მერაბიშვილმა და ლალი კერესელიძემ, რეიტერის სააგენტოს წარმომადგენელმა მარკ ვილსონმა.

მაისში ინსტიტუტში გაიმართება „გერმანიის დღეები", მოეწყობა სტუდენტთა მესამე სამეცნიერო კონფერენცია...

ჩვენს დუხჭირ დღევანდელობაში მართლაც სიურპრიზი იყო ეს გასაოცრად ლამაზი ღონისძიება.

რაკი ზეიმობენ, ესე იგი ეზეიმებათ. ესე იგი თვითდინებით, მონოტონურად არ მიედინება ამ ინსტიტუტში სტუდენტური ცხოვრება.

კომერციის ინსტიტუტი 1992 წლის მარტში შეემატა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რიგს. იგი კომერციის უმაღლესი კოლეჯის ბაზაზე აღმოცენდა, თბილისის ზღვასთან, ლოტკინის დასახლებაში. სამ ფაკულტეტზე (საგარეო-ეკონომიკური, კომერციის, კვების ტექნოლოგ-კომერსანტის) 900 ახალგაზრდა სწავლობს.

ბუნებრივია, ახალშექმნილ სასწავლებელს მრავალი პრობლემა აქვს. ინსტიტუტის რექტორი პროფესორი გურამ თავართქილაძე ენერგიული, ორგანიზატორული თვისებებით დაჯილდოებული კაცია, კომუნიკაბელობის გამორჩეული ნიჭიც აქვს. ამიტომ მრავალ საკითხს, რომელთა გადაჭრასაც ჩვეულებრივი — „ბიუროკრატიული", ანუ ინსტანციური გზით დიდი დრო სჭირდება, ხან კი საერთოდ შეუძლებელიც არის, იგი ადამიანებთან ურთიერთობის დამყარების გამორჩეული უნარით აგვარებს. სტუდენტებს მისი სჯერათ და... ეშინიათ, იმ შიშით, რომელიც, რუსთველის თქმით, სიყვარულს შეიქმს.

ბარემ ახლავე ვიტყვით: „თეთრი არწივის" 116-ე ბატალიონის მეთაური ზვიად სამხარაული, მისი მოადგილე თამაზ კენჭოშვილი, შტაბის უფროსი ალეკო შავერდაშვილი და 67 მებრძოლი ამ ინსტიტუტის დღისა თუ დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტები არიან. ოთხმა ჭაბუკმა სამშობლოსათვის ბრძოლას შესწირა თავი. რექტორს არასოდეს უყურადღებოდ არ დაუტოვებია თავისი მამაცი ბიჭები. ხშირად ჩადიოდა მათთან ფრონტზე აფხაზეთში, ამხნევებდა, სურსათი ჩაჰქონდა.

თავშივე მივანიშნეთ, რომ ინსტიტუტი ქალაქის განაპირას, ლოტკინის გორაზე მდებარეობს, სამღერეთის ქუჩაზე (ადრე მას პიონერის ქუჩა ერქვა. სახელი ინსტიტუტის წინადადებით გადაერქვა თეთრიწყაროს რაიონში მდებარე სოფელ სამღერეთის ეკლესიის პატივსაცემად, რომელიც აქაური სტუდენტების ძალებით შეკეთდა). ბუნებრივია ჭირს ტრანსპორტი. მაგრამ მეცადინეობაზე დასწრების მხრივ, მისი, ალბათ, ცენტრში მდებარე არაერთ სასწავლებელს შეშურდება. საქმე ის გახლავთ, რომ რეგულარულად მოძრაობს ინსტიტუტის 3 ავტობუსი. მათ მცხეთა-დიდი დიღმისა და გლდანი-მუხიანის მარშრუტებით მოჰყავს და მიჰყავს სტუდენტები და პედაგოგები. დღეში რამდენიმე რეისი კეთდება რკინიგზის გადასასვლელი ხიდიდან.

ეს ავტობუსები ინსტიტუტს ეკუთვნის. ერთი ცალი, რაკიღა აქ მრავალი მცხეთელი ახალგაზრდა სწავლობს, მცხეთის ავტომეურნეობამ (დირექტორი — ვიტალი თათარაშვილი) აჩუქა. ამორტიზებული იყო და მერე აქ შეაკეთეს. მეორეც ასევე საჩუქრად მიიღეს. მესამე კი თვითონ რექტორმა უყიდა ინსტიტუტს... თავისი გაყიდული მანქანის საფასურით.

საწვავს როგორღა შოულობენ? ნაცნობ კომერსანტებში ვმათხოვრობ და ჩვენი საერთო საქმისთვის ეს მათხოვრობა სამარცხვინოდ არ მიმაჩნიაო, ამიხსნა ბატონმა გურამმა.

კომერციის სახელმწიფო ინსტიტუტს მეგობარი ჰყავს — ჰალეს უნივერსიტეტი. ფართო თანამშრომლობის ხელშეკრულება აქვთ დადებული. დათქმულია ხუთი ქართველი სტუდენტის სწავლება გერმანიაში (ორი მათგანი — ზვიად ნიკოლაიშვილი და ბადრი გელიტაშვილი თვითონ ჰალეს უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა შეარჩიეს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის დროს, სადაც ამ ჭაბუკებმა გერმანიის გაერთიანების ეკონომიკურ ასპექტებზე წაიკითხეს მშვენიერი მოხსენებები), გამოუგზავნიან ბიზნესის, მარკეტინგის ასობით სახელმძღვანელოს, 11 ცალ უახლეს კომპიუტერს ლაზერული პრინტერით, მოუწყობენ ერთ მთლიან, 20-ადგილიან კომპიუტერულ კლასს მონიტორებით. მიიღებენ სხვა დახმარებასაც.

ამ ორი სასწავლებლის დაახლოება კი ასე მოხდა:

როცა ცნობილმა პოლიტიკურმა და სახელმწიფო მოღვაწემ ჰანს დიტრიხ გენშერმა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურად არჩევა მიულოცა და წერილში აღნიშნა, მოხარული ვიქნები, თუ ჩემს აღმზრდელ ჰალეს უნივერსიტეტს რომელიმე ქართული უმაღლესი სასწავლებელი დაუმეგობრდებაო, გურამ თავართქილაძემ მოვლენათა განვითარებას არ დაუცადა და გერმანიის ამ ცნობილ უნივერსიტეტს თანამშრომლობა შესთავაზა. წინადადება სიამოვნებით მიიღეს.

შარშან, ნოემბერში, თბილისს ეწვია უნივერსიტეტის რექტორი რინგე და ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი ლასმანი. სტუმრები მიიღო და ესაუბრა სახელმწიფოს მეთაურმა ე. შევარდნაძემ. წლეულს, მარტში, გ. თავართქილაძე იყო ჰალეში იქაურთა მიწვევით. როგორც აქ, ისე იქ, ხელი მოაწერეს თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

სწორედ იმ დღეს, როცა ინსტიტუტში „შექსპირის დღე" აღნიშნა, ცნობა მიიღეს, რომ 22 აპრილს ჰალედან ბონში ჩავიდნენ და გერმანიაში საქართველოს ელჩს კოტე გაბაშვილს შეხვდნენ ბატონები რინგე და ლასმანი, რათა ერთობლივად მოელაპარაკათ თბილისის კომერციის სახელმწიფო ინსტიტუტის დახმარების კონკრეტულ ღონისძიებებზე...

ალექსანდრე ალექსიძე.

* * *



სურათებზე: კომერციის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი პროფესორი გურამ თავართქილაძე, „შექსპირის დღე".
თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

გმირის უკვდავსაყოფად

ნებისმიერ საქვეყნო საქმეს უმალ აიტაცებდა და გაითავისებდა ხოლმე.

ქალაქს იქ ხედავდა და აშენებდა, სადაც ადრე ქალაქი არ იყო (შავნაბადა).

დღენიადაგ სხვისი აშენებულის გამშვენიერებისთვის იღვწოდა (რუსთავი).

ბოლოს კი ქართველებისგან დაუცველი ქალაქის დაცვას გადაეგო (სოხუმი).

დიდი საქმის დაწყებაც იცოდა, და ლხინის ლამაზად გატანაც.

ასეთი იყო ჟიული შარტავა.

მე ეს ქალაქი საქართველომ ჩამაბარაო, — უთქვამს.

რწმენისა და საქართველოს სიყვარულისთვის გაუსწორეს ანგარიში.

თაობაში გამორჩეულ, სიყვარულიც გამორჩეული არგუნა განგებამ.

ჟიული შარტავა სიცოცხლის ბოლო წუთამდე დარჩა საქართველოს ღირსეული შვილი.

გამომცემლობა „სამშობლომ" ჟიული შარტავას ფონდის ხელშეწყობით გამოსცა წიგნი „ჟიული შარტავა: უკვდავებაში გარდასული სიცოცხლე".

წიგნი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა დემიკო ლოლაძემ (მხატვარი გიორგი ავსაჯანიშვილი).

წიგნში თავმოყრილია ყველა ის მასალა, რომელიც ჟიული შარტავას ტრაგიკულ დაღუპვასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა.

მისი თავდადებისათვის, ღრმა ადამიანური წესიერებისათვის, უკომპრომისობისა და, ბოლოს, გმირობისათვის წიგნში მრავალი კეთილი, მადლიერებით აღსავსე სიტყვაა. მოცემულია მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის შეფასება, გამოხატულია მისდამი უდიდესი სიყვარული და პატივისცემა. იგონებენ ჟიული შარტავას მეგობრები, კოლეგები, „უფროსობილები" თუ „უმცროსობილები".

ხვალინდელი დღის გადასახედიდან მისი ღვაწლი ქვეყნისა და ხალხის წინაშე კიდევ უფრო ნათლად წარმოჩინდება. ეს წიგნი კი, ჟიული შარტავას დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით რომ გამოვიდა, მოკრძალებული წვლილი იქნება გმირის უკვდავყოფის კეთილშობილურ საქმეში.

მზია გელენავა.

განსჯა

ლაზეთის პრობლემა და ლაზურ-თურქული ჟურნალი „ოგნი"

ხმა ლაზური...
გალაკტიონი

I. „სქანი ნენა"

ანკარაში გამგზავრების წინ საქართველოს სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა თურქეთში პროფესორმა ნოდარ კომახიძემ გადმომცა სტამბოლში ლაზების მიერ გამოცემული ჟურნალი „ოგნი" („სქანი ნენა").

ჯერჯერობით ამ ჟურნალის მხოლოდ ორი ნომერია გამოცემული. ის სამ თვეში ერთხელ გამოდის. ლაზები სტამბოლში მალე გაზეთის გამოშვებასაც აპირებენ. დიდი ინტერესით გავეცანი ამ მრავალფეროვან, პრობლემატურ და სადისკუსიო ჟურნალს.

პრობლემები ეხება საქართველოს, ბიზანტიის, თურქეთის, ლაზისტანის (ლაზეთის სამეფოს) ისტორიას, ეთნოგრაფიას, ლინგვისტიკას, მითოლოგიას, ეთნოფსიქოლოგიას, ლიტერატურას, ხელოვნებას, ფოლკლორს, ანბანთმცოდნეობას, ენათმეცნიერებას, დემოგრაფიას, კონფლიქტოლოგიას, პოლიტოლოგიას...

2. ათასი ფიქრი ლაზეთზე

ლაზების ჟურნალის „ოგნის" („სქანი ნენა") კითხვის შედეგად ათასი თემა წამოიჭრა, ათასი ფიქრი დაიბადა და ეს წერილი მეტად ძნელი დასაწერი აღმოჩნდა, რადგანაც ამ წერილმა სამ რთულ გადაუჭრელ პრობლემას უნდა უპასუხოს: პირველი — თურქეთში მცხოვრები ლაზი უნდა დაარწმუნოს, რომ ის ქართველია, (დღეს მას ეს მთლად ბოლომდე არ სჯერა თურმე, როგორც სტამბოლურ ლაზურ ჟურნალ „ოგნიდან" („სქანი ნენა") ირკვევა); მეორე — ამ წერილმა თურქეთის მთავრობა, თურქი ხალხი არ უნდა გაანაწყენოს, მათ არ უნდა იფიქრონ, რომ ლაზებთან ურთიერთობა საქართველოს თურქეთის საზიანოდ სურს. ეს ასე არ არის. პირიქით, ქართველ ხალხს და საქართველოს მთავრობას დღეს სტრატეგიულ მიზნად საქართველოსა და თურქეთს შორის მხოლოდ კეთილმეზობლური, მეგობრული და ჰუმანური ურთიერთობა აქვთ დასახული. სწორედ ამ სტრატეგიულ მიზანს უნდა შეუწყოს ხელი საქართველოსა და ლაზეთის ურთიერთობამაც; მესამე — ქართველი არ უნდა დარჩეს გულმოკლული და გულნაკლული იმის გამო, რომ 500, უფრო სწორად 1000 წლის წინათ დედასამშობლოს მოწყვეტილ ლაზს ეჭვი შეპარვია თავის ქართველობაში.

ამას ახსნა უნდა და არა უარყოფითი ემოციების გამოვლენა. სწორედ ახსნა და არა გამართლება. ახსნა და მოქმედების პროგრამის დასახვა.

ძველქართველური ლაზიკეს სამეფოს დამხობის შემდეგ, ათასი წელი ბიზანტია ლაზს ეუბნებოდა: შენ ქართველი არა ხარ, არც ლაზი, შენ ბერძენი ხარო.

ბოლო 500 წელია ლაზს უმტკიცებდნენ: შენ არც ლაზი ხარ, არც ქართველი, — შენ თურქი ხარო, — წერს ჟურნალი „ოგნი". ლაზი მაინც არ გატყდა. მაინც არ მოიხარა ქედი. მაინც ლაზად დარჩა.

ორი საუკუნე დასჭირდა ქრისტიან ლაზების გამაჰმადიანებას.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჟურნალი „ოგნი" დააარსეს იმ ლაზების შთამომავლებმა, რომლებიც არც დავით აღმაშენებლის, არც თამარის სამეფოს საზღვრებში მთლიანად არ შემოდიოდნენ. ისინი ქართველური ლაზეთის სამეფოს მკვიდრნი იყვნენ და ტრაპიზონის იმპერიის ქვეშევრდომნი.

ამან თავისი დაღი დაასვა მათ ცნობიერებას.

ეს ისტორიული სპეციფიკა უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ, როცა ლაზეთის პრობლემებს ვეხებით.

სამწუხაროდ, ისტორიამ მეტი გააკეთა გაუცხოებისათვის, ვიდრე გაერთიანებისათვის.

და, აჰა, მაინც მოვიდა ჩვენთან, ჩვენს XX საუკუნეში ლაზი და შეგვიტხრა: „მა ლაზი ვორე!" („მე ლაზი ვარ!").

მან თავისი ლაზობა — ქართველური ფენომენი გადაარჩინა.

მშვიდობა თქვენს მოსვლას, თქვენს გადარჩენას. ჩვენო ღვიძლო ძმებო, ლაზებო! ასე მამაცნო და ლამაზებო!

„მა ლაზი ვორე!" („მე ლაზი ვარ!") განა ეს ქართული სიტყვა არ არის?!

ეს მარტივი ჭეშმარიტება ჭოროხს გაღმა ლაზებმაც უნდა გაიგონ და ჭოროხს გამოღმა — ქართველებმაც.

3. ორი ქართველური მენტალიტეტი

იმ ლაზის ცნობიერება, რომელიც ფაქტობრივად თითქმის 1500 წლის წინ მოსწყდა საქართველოს და 500 წლიანი მაჰმადიანური, ცხოვრებოვანი ღამის წიაღში იშვა და იმ ქართველისა, რომელიც ქრისტიანული სახარების ნათელში, 1700 წლიანი ქართულ ქრისტიანულ კულტურაზე აღიზარდა, — არ შეიძლებოდა ყოფილიყო და არც არის ერთნაირი, იდენტური. კონტრაპუნქტული.

დღეს ერთმანეთს უპირისპირდება ორი მენტალიტეტი, რომელიც ორმა სხვადასხვა სამყარომ წარმოშვა და ეს სავსებით ლოგიკური და კანონზომიერია. გასაოცარი იქნებოდა, რომ ეს ასე არ ყოფილიყო. კაცს აბსოლუტურად არაფილოსოფიური, ანტიისტორიული თავი უნდა ებას, რომ ეს გაუკვირდეს და ლაზების მენტალიტეტის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობა მოითხოვოს.

ეს მეტად სათუთი და ფაქიზი საკითხია და განსაკუთრებულ პოლიტიკურ, დიპლომატიურ, მეცნიერულ, ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ, საგანმანათლებლო, პედაგოგიურ მიდგომას მოითხოვს.

წარმოშობილი კონფლიქტი კონფლიქტოლოგიის — კონფლიქტების არსისა და მათი დაძლევის შესახებ ცივილიზებული მეცნიერების, ცივილიზებული ლოგოსის დონეზე უნდა გადაწყდეს და არა ნაცადი აზიური ველურობის პრინციპებით.

დროა შევეშვათ სოციალურ დარვინიზმს და პლურალიზმის, ჰუმანიზმის პრინციპებს ვეზიაროთ.

თურქეთის ქართველურ მოსახლეობას — ლაზებს ალაჰის მცნებები აქვთ, ჩვენ — ქრისტიანული.

როგორ მოვრიგდეთ ერთმანეთში?

არის გამოსავალი: ზოგადსაკაცობრიო ჰუმანური იდეალების დონეზე უნდა გამთელდეს დღევანდელი ქართველებისა და თურქეთის ლაზთა ოდესღაც ერთი, მაგრამ დროთა ვითარებისგან გაბზარული ცნობიერება.

4. რას ამბობს მსოფლიო ლაზთმცოდნეობა?

არსებობს მსოფლიო ენათმეცნიერება, ქართველოლოგია და მისი ერთ-ერთი განუყოფელი დარგი ლაზთმცოდნეობა, რომლებიც მეცნიერულად ასაბუთებენ იმ უცილობელ ფაქტს, რომ ლაზური ქართველური ენაა.

ამას ამტკიცებს არა მარტო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, არა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მსოფლიოს ნებისმიერი ქართველოლოგიური სკოლა და ცენტრი, სადაც არ უნდა იყოს ის, — ლონდონში, პარიზში, ბერლინში, ნიუიორკში, პეტერბურგში, ბარსელონაში, მოსკოვში, თბილისში, ამერიკის, ევროპის, აზიის ნებისმიერ ქვეყანაში, — თქვენ დაგიდასტურებთ, რომ ლაზური ქართველური ენაა, ლაზი ქართველია.

მეცნიერული, მით უმეტეს ენათმეცნიერული ჭეშმარიტება ზედაპირზე არ დევს. სიღრმეთა ხილვა კი დიდ მეცნიერთა ხვედრია.

ლაზიც ისეთივე ქართველია, როგორც ქართლელი, კახელი, იმერელი, გურული, რაჭველი, მეგრელი, ლეჩხუმელი, თუში, ფშაველი, ხევსური, მოხევე, მთიული...

5. „ოგნი" („სქანი ნენა"). მიზნები და ამოცანები

ჟურნალი „ოგნი" წინასიტყვაობაში აცხადებს, რომ ის არ არის არც პოლიტიკური და არც იდეოლოგიური გამოცემა. მისი მიზანია ლაზური ენის, კულტურის, ისტორიის, ფოლკლორის, მუსიკის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, სოციოლოგიის, მეცნიერებისა და ხელოვნების შესახებ გამოკვლევების პუბლიკაცია, რაც „ხელს შეუწყობს ლაზებს დაიკავონ თავიანთი ადგილი მსოფლიო კულტურის საგანძურში და ჰპოვონ მსოფლიო აღიარება". უკვე ამ განცხადებაში იგრძნობა ლაზების ქართული მასშტაბური ხასიათი.

„ჟურნალი იქნება ძმობის ხიდი, გადებული ანატოლიასა და კავკასიას შორის, ანატოლიელ და კავკასიელ ხალხებს შორის", — წერს „ოგნის" რედაქცია, ამას შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ.

ჟურნალი „ოგნი" („სქანი ნენა") გამოდის თურქულ ენაზე სტამბულ-აქსარაიში, მაგრამ აქვეყნებს ლაზურ ტექსტებსაც (მოთხრობები, ლექსები, ისტორიული ესკიზები, ლაზურ-მეგრულ-თურქული ლექსიკონი, ეთნოგრაფიული ჩანახატები და სხვ.).

6. ლაზი სოკრატე, ანუ სარგინა ბეშლის „ფიქრები საკუთარი თავის შეცნობაზე"

სარგინა ბეშლის თითქოს ფილოსოფოს სოკრატეს „შეიცან თავი შენი" და იმავე სოკრატეს „დაიმონი" ალაპარაკებს: „მე რომ მკითხოთ, ვინ ხარ, რა ხარო, გიპასუხებთ: „მა ლაზი ვორე!" (მე ლაზი ვარ!").

აი, როგორ ჰგავს ქართულს ლაზური! ამ ფრაზას თარგმნაც არ სჭირდება. ერთი პოეტისა არ იყოს, „დედის აკვანშიც გაგვიგონია".

„რას ნიშნავს მ[illegible] — სვამს კითხვას ს[illegible] თვითონვე უპასუ[illegible] ლეს ყოვლისა, ეს [illegible] რომ მე ვარ „ნაცუმცირესობა" ე. ი. დაჩაგრული ვარ უმრავლესობის მიერ". „მე ვარ დამცირებული, გაუცხოებული, დაშინებული, დაცინვის ობიექტი".

ეს ლაზეთის ძახილია, ქართველებო!

„კარგად ვერ ვისწავლე თურქული ენა და დავივიწყე ლაზური".

აი, ლაზის ტრაგედიის სათავე. ამიტომ ის თურქულ ენაზე სცემს ლაზურ ჟურნალს.

ამ ჟურნალს კი სდევნის თურქეთის სასამართლო და უშიშროების სამსახური! — როგორც წერს „ოგნი" („სქანი ნენა"). სდევნის, ალბათ იმიტომ, რომ ჟურნალი სიმართლეს წერს!

„რაღა ბევრი გავაგრძელო, ვარ „ვიღაც", მაგრამ მე არა ვარ „მე!" რამდენი ტკივილია ამ ფილოსოფიურ ფრაზაში ჩაქსოვილი („მე არა ვარ მე!").

ეს არა მხოლოდ ერთი ლაზის, ორი მილიონი ლაზის ტკივილია.

რა რთულია „მეს" პრობლემა ცხოვრებაშიც და ფილოსოფიაშიც..

7. „ლაზურად არ ილაპარაკო"

მომძახოდა შეშინებული დედა, როცა სამსუნში ვსწავლობდი, — იგონებს სარგინა ბეშლი. „აი, სწორედ ეს არის თავი და თავი ყოველგვარი ბოროტებისა! ამ სიტყვებში კარგად ჩანს ლაზების ასიმილაციის მთელი სიმძიმე!"

თუ საკუთარ თავს გაუცხოვდი, მერე ადვილია ადამიანის სხვა გზით წაყვანა, — ასკვნის თავის ფილოსოფიურ მონოლოგში ლაზი სოკრატე სარგინა ბეშლი.

ფიქრები გაუცხოებაზე ეგზისტენციალისტურ პრობლემამდე აჰყავს სტატიის ავტორს.

8. „როცა სოფელში ვცხოვრობდი ლაზი ვიყავი, ართაშენში რომ ჩამოვედი გამათურქეს",—

ჩივის ჟურნალ „სქანი ნენას" ფურცლებზე ართაშენელი საცოდავი ლაზი ბიჭუნა. ლაზურ სოფელში თურქული ვიცოდი, მაგრამ არ მჭირდებოდა, ყველა ლაზურად ლაპარაკობდა, ქალაქში რომ ჩამოვედი, მე ლაზური კი ვიცი, მაგრამ აქ ჩემი ენა არავის ესმის, თურქულად უნდა ვილაპარაკო, მშობლიური ენა უნდა დავივიწყო...

„ეს შვიდი წლის ლაზი ბიჭუნა გაუცხოვდება, გადაგვარდება, აბა, რა მოუვა? — ჩივის ჟურნალი „ოგნი". („სქანი ნენა"), — ამ ბიჭუნასათვის უცხო გახდება არა მარტო ლაზური ენა, არამედ საკუთარი დედაც! ჰოდა, როცა ადამიანი თავის თავს გაუცხოვდება ბავშვობიდანვე, როგორღა შეძლებს, როცა გაიზრდება, სწორად შეიცნოს თავისი თავი?! ეს გარემოება თავის დაღს ასვამს „ნაცუმცირესობის" ფსიქოლოგიას, ადამიანს უჩნდება კომპლექსები"...

აი, სად არის, ქართველებო, „ოგნის" „არაქართული მოტივების" სათავე. ტოლერანტობა და მოთმინება გვმართებს.

აცალეთ, ლაზის „მემ" შეიმეცნოს თავისი თავი. უცოდველი, მაგრამ შეცთომილი ძე დაუბრუნდება ჭეშმარიტ გზას.

9. „მე თურქი ვარ!" „მე თურქი ვარ?!" „მე თურქი ვარ?"

„ოგნი" წერს, რომ ლაზებს „ბავშვობაში, (სკოლიდან დაწყებული უნივერსიტეტში შესვლამდე) ყოველ დილით რამდენიმეჯერ გვამეორებინებდნენ სიტყვებს: „მე თურქი ვარ! მე თურქი ვარ! მე თურქი ვარ!"

ეს იყო საკუთარი „მეს" დავიწყების ფორმულა. ასე ავიწყებდნენ ჟუან ჟუანები წარსულს, ისტორიას, საკუთარ „მეს" მანკურტებს ჩინგიზ აითმათოვის ცნობილ რომანში.

„მე კარგად ვიცოდი, რომ ლაზი ვიყავი, ისიც ვიცოდი, რომ თურქული ენა ლაზურისგან დიდად განსხვავდებოდა" — წერს ლაზი ლიტერატორი ჟურნალ „ოგნის" ფურცლებზე.

ამ შეგნებამ გადაარჩინა ლაზი.

10. „ერთი თურქი მთელი მსოფლიოს ბადალია?"

ერთი მხრივ, შენ: ლაზი არა ხარ, შენ თურქი ხარ და, მეორე მხრივ, პანთურქული ფორმულა „ერთი თურქი მთელი მსოფლიოს ბადალია!"

ლაზს [illegible] ერთი [illegible] სძლევს [illegible] ხანჯლით, ის სწორუპოვარი და უძლეველია.

მაგრამ ლაზში ზის სტიქიური ფილოსოფოსი, ის თავისებური დეკარტია. „ყველაფერი დააყენე ეჭვქვეშ!" — ამბობს დეკარტის ფორმულა.

ერთი ლაზი სტუდენტი, ქემალ ათათურქის თავდადებული მიმდევარი, იწერდა ქემალისტურ ლოზუნგებს: „თურქი ახალგაზრდა ყველაზე მამაცია, თურქი ახალგაზრდა ყველაზე შეუპოვარი და უშიშარია". (როგორ მაგონებს ეს პროკომუნისტურ ფორმულას: „საბჭოთა ავადმყოფი ყველაზე ჯანმრთელი ავადმყოფია მთელ მსოფლიოში!)".

ჩაიწერა ქემალისტური ლოზუნგები ლაზმა სტუდენტმა. ერთხანს ეგზალტირებული მონუსხული იყო ამ ფორმულებით, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გაუჩნდა ეჭვი: „კი, მაგრამ მე რომ ლაზი ვარ?"...

„აი, სწორედ იმ მომენტში ჩემში რაღაც მოხდა: უცბად ლაზობის შეგნება გაცნობიერდა. „თურქობისა" არაფერი დამრჩა გულში", — წერს ლაზი სტუდენტი.

გათურქების გზაზე დამდგარ ჭაბუკში მისმა ლაზურმა სულმა გაიღვიძა.

11. იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?"

ეს არის იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?"-ს ფსიქოლოგიური ეფექტი.

შემთხვევითი არ არის, რომ ლაზური ჟურნალი „ოგნი" („სქანი ნენა") ბეჭდავს დიდი იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებებს.

იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?" გენიალური ფსიქოლოგიური, მხატვრული და პედაგოგიური ქმნილებაა.

მან ლაზი თურქს გამოსტაცა, ქართველი — ლეკს. ეს მოთხრობა კი არა, ეროვნული თავდაცვის უძლეველი ინტელექტუალური იარაღია.

უძლეველი თილისმა სიტყვებია: „ნანა" და „ნენა". ეს „ნენა" ამშვენებს ჟურნალ „ოგნის" („სქანი ნენა").

12. „ლაზური შეიძლება თურქსაც ასწავლო"

ერთმა თურქული ლიცეუმის ლაზმა მოსწავლემ თავის თურქ მეგობარს ლაზური ასწავლა. აი, როგორ აღწერს ამ ფაქტს ჟურნალი „ოგნი" („სქანი ნენა"): „როცა ლიცეუმში ვსწავლობდი, ლაზურად მხოლოდ ოჯახის წევრებთან ვლაპარაკობდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ეს არ მაკმაყოფილებდა. ერთი ახლო მეგობარი მყავდა, თურქი იყო, ყველაფერს ძმურად ვიყოფდით. ლაზური, რა თქმა უნდა, არ იცოდა. მე კი მინდოდა ენაც საზიარო გვქონოდა და ვასწავლე ჩემი მშობლიური ლაზური. ისიც დიდი სიბეჯითით მოეკიდა ამ საქმეს და კარგად ისწავლა ჩემი მშობლიური ენა".

ლაზი და თურქი მეგობრები არიან. არაფერი ადამიანური უცხო არ არის მათთვის. ხშირად პოლიტიკა ქმნის პრობლემებს.

პოლიტიკის მიერ შექმნილ პრობლემებსაც ჰუმანურად უნდა მოწესრიგება. ორი ათასი წელი გადის ქრისტეს დაბადებიდან, თითქმის 1400 წელი მუჰამედის მექადან მედინაში გადასვლიდან, ჰიჯრის შემოღებიდან.

დროა, დაბრძენდეს კაცობრიობა.

ის მაჰმადიანი თურქი ჭაბუკი მთლად აბო ტფილელი არ არის, მაგრამ რაღაცით მაგონებს მას...

პროგრესული თურქეთი მუდამ უარყოფდა დრომოჭმულ ოსმალეთს. ამის საბუთად ათათურქის რევოლუციაც კმარა.

13. დედა ენა და ანბანი. ფარნაოზ ბრძენის მოლანდება..

„უნივერსიტეტში სწავლის დროს გადავწყვიტე ლაზური სიტყვები ქაღალდზე გადამეტანა, სპეციალური ნიშნებიც მოვიგონე ჩასაწერად, მაგრამ დიდი შედეგი ვერ მივიღე. შემდეგ ეს საქმე მივატოვე, თუმცა სურვილი მქონდა ლაზური ანბანის შექმნისა".

„1991 წელს ხელში ჩამივარდა წიგნი „ლაზური ანბანი". ამ თარიღიდან ჩემთვის ახალი ერა დაიწყო. მთელი ჩემი ახალგაზრდობის ნატვრა და ოცნება ამისრულდა. მიხაროდა, რომ ჩემ საყვარელ ენაზე შევძლებდი წერასაც და კითხვასაც".

ასეთია ლაზის აღსარება, ლაზის მონოლოგი. ნუთუ ეს სიხარული უნდა ჩავუქროთ ჩვენ მას?!

[illegible] დამნაშავე, რომ არ იცის ლაზისა და, მამასადამე, ყველა ქართველის ანბანი ჯერ კიდევ 2.300 წლის წინათ რომ შექმნა ფარნაოზ ბრძენმა? ამას მას სტამბოლის უნივერსიტეტსა და ტრაპიზონის ლიცეუმში არ ასწავლიან. თბილისის უნივერსიტეტში კი მას არ უსწავლია.

ჩვენ, ქართველებმა რა გავაკეთეთ, რომ ეს სცოდნოდა იმ ლაზს, რომელიც თითქმის 1000 წელია მოწყვეტილია დედა სამშობლოს?!

არაფერი გაგვიკეთებია. ამიტომ მსაჯულის როლში ვერ გამოვალთ.

„რას მოგვიტან[illegible] ახალი ხანა, ბევრად იქნება [illegible]მოკიდებული თავად ჩვენზე. ჩვენ გვეკისრება უდიდესი პასუხისმგებლობა ჩვენი წინაპრების ხსოვნისა და მომავალი თაობების წინაშე. ჩვენი ვალია, შვილებს გადავცეთ ის, რაც ჩვენმა წინაპრებმა შემოგვინახეს".

ლაზურ ჟურნალ „ოგნის" ამ აზრებს არა მხოლოდ იქაურმა ლაზმა, არამედ ნებისმიერმა აქაურმა ქართველმაც უნდა მოაწეროს ხელი.

ეს ჩვენი საერთო ისტორიული პასუხისმგებლობაა.

თბილისის უნივერსიტეტში, მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში უკეთ უნდა დავაყენოთ ლაზური ენის, ეთნოგრაფიის, ისტორიის, არქეოლოგიის, ფოლკლორის, მუსიკის სწავლება და კვლევა, ლაზეთზე მეცნიერული ცოდნის გავრცელება.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში უნდა მოვიწვიოთ ლაზი სტუდენტები, ვაზიაროთ ისინი ქართულ ცივილიზაციას.

საქართველოს საელჩომ თურქეთში უნდა დააარსოს ქართული კულტურის ცენტრი, რომელიც ლაზთა საგანმანათლებლო კერაც უნდა გახდეს.

14. „ზვიადისტები" და „არძინბისტები" გურჯისტანის დიდ ვილაიეთსა და ლაზისტანში? ილია ჭავჭავაძის მოლანდება

მე „ოგნის" („სქანი ნენას") საზღვარგარეთელი მკითხველი ვარ.

„ოგნის" ზოგიერთ პუბლიკაციას, სამწუხაროდ, ეტყობა ექსტრემისტი „ზვიადისტებისა" და „არძინბისტების" გარკვეული დასანანი გავლენა. ეს უსათუოდ უნდა დაძლიოს ჟურნალმა. მით უმეტეს, რედაქციამ თავშივე განაცხადა, რომ ის არც პოლიტიკური და არც იდეოლოგიური ჟურნალი არ არის. ეს ერთი. მეორე. კითხულობ ჟურნალს და უნებლიედ იბადება კითხვა: რატომ ექცევა ასე ადვილად „ოგნი" ამგვარი ნეგატიური გავლენის ქვეშ?

ეს არც „ზვიადისტების" და არც „არძინბისტების" სიძლიერით არ აიხსნება. რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს. პირველი ეს არის თურქეთისა და მსოფლიო პრესის ფურცლებზე ობიექტური ინფორმაციის დეფიციტი. მეორე. ისტორიული მემკვიდრეობის, ისტორიული, ეროვნული გათიშულობის შედეგი.

ბოლო 500 წლის მანძილზე თურქეთსა და საქართველოში სხვადასხვა, რადიკალურად ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებებით მიიმართებოდა ისტორიული პროცესები.

ოტომანთა იმპერიამ შექმნა საზღვარგარეთელ ქართველთა გათიშვის მოდელი: ისტორიულ თურქეთში ცალკე არსებობდა გურჯისტანის ვილაიეთი და ცალკე — თურქეთის ლაზისტანი.

ასე გაითიშა თურქეთში ჩვენი გაგებით აღმოსავლეთი (გურჯისტანი) და დასავლეთი (ლაზიკა) საქართველო. მათი შემაერთებელი „ხიდი" იქ არ არსებობდა.

ამიტომ დგანან დღეს სხვადასხვა პოზიციებზე საზღვარგარეთული ქართული ჟურნალები „ჩვენებური" და „ოგნი". არსებობს ორი ქართველური მენტალიტეტი.

ხიდს ორ ნაპირს შორის თავისი გაზეთით „ხიდი" აშენებს საქართველოს ელჩი თურქეთში ბატონი ნოდარ კომახიძე. ვაცალოთ მას, დროს და ისტორიას.

დღეს ზოგიერთი ექსტრემისტი პოლიტიკოსი ცდილობს ორიდან ერთი ნაპირი გაანადგუროს და მოსპოს. მაშინ რაღა აზრი აქვს ხიდის მშენებლობას? რა ვუყოთ ხიდის მეორე თავს, თუ გაღმა ნაპირი არ დახვდა?!

ლაზებთან ურთიერთობაში საჭიროა არა უხეში ძალადობა, არამედ მოთმინება და მეცნიერული კომპეტენტურობა, დიპლომატია და ტაქტი, კულტურა და ჰუმანურობა, ეს გვიანდერძა ერის მამამ ილია ჭავჭავაძემ.

15. 33 საუკუნოვანი ისტორია და ლაზის ფილოსოფიური გონება

ლაზმა თავისი 33 საუკუნოვანი ტრაგიკული ისტორიის მანძილზე იმდენი ბოროტება ნახა, არც მიკვირს, დღეს ზოგჯერ სიკეთეშიც რომ ბოროტებას ხედავს. ვაცალოთ და ლაზი ყველაფერში გაერკვევა. ლაზს ფილოსოფიური გონება აქვს. განა ამაზე არ მეტყველებს ძველი კოლხეთის (ლაზეთის) ფილოსოფიური რიტორიკული სკოლა, რომელიც IV საუკუნეში მოქმედებდა და იმდროინდელი მსოფლიოს გაოცებას იწვევდა!

ამაზე მეტყველებენ VI საუკუნის ლაზი ორატორების, „ფაზისელი ციცერონების" — ფარტაზისა და აიეტის სიტყვები, რომლებიც მსოფლიო მჭევრმეტყველების უცნობი შედევრებია!

განა ლაზის იმავე ფილოსოფიურ გონებაზე არ მეტყველებს ის ფაქტი, რომ V საუკუნის დიდი ქართველი ფილოსოფოსის, იბერთა ტახტის მემკვიდრის პეტრე იბერიელის (ფსევდოდიონისე არეოპაგელის) სულიერი მამა, აღმზრდელი და მოძღვარი ფაზისიდან მოწვეული ფილოსოფოსი იოანე ლაზი იყო!

განა საქართველოს უდიდესმა მეფემ და მხედართმთავარმა დავით აღმაშენებელმა თავისი სულიერი მამა არ უწოდა ბრძენ მწიგნობართუხუცესს გიორგი ჭყონდიდელს, რომელიც კოლხი (ლაზი) იყო.

განა საქართველოს სინდისი არ არის კოლხი ცოტნე დადიანი, რომელმაც თათარ-მონღოლთა შემოსევის დროს თავი დასდო ქართველი ძმებისათვის. ამ დიდი ლაზის გმირობა „ქართლის ცხოვრების" ულამაზესი ფურცელია.

გავიხსენოთ ღირსების ორდენის კავალერის, მწერალ-აკადემიკოს გრ. აბაშიძის ისტორიული რომანი „ცოტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება".

ლაზთა წარმოშობის, ისტორიის, ეთნიკური წარმომავლობის შესახებ სიმართლე არ იცის თურქეთში დაბადებულმა და გაზრდილმა ლაზმა. ეს მისი ტრაგედიაა და ჩვენი, ქართველების ვალია ეს ტრაგედია არ დავუმძიმოთ, არამედ ისტორიული სვე-ბედი შევუმსუბუქოთ მას, ტაძრისაკენ მიმავალი გზა ვაპოვნინოთ.

ცოტნე დადიანის ჩამქვდარი სული უნდა გავაღვიძოთ დღევანდელ საზღვარგარეთელ ლაზში. ის სული უცხო ძალებმა ჩაკლეს, ჩვენ უნდა ავაღორძინოთ. ასეთია ეროვნული ამოცანა. „ოგნი" („სქანი ნენა") ლაზის ქართველური სულიერი აღორძინების ფენომენი უნდა გახდეს.

16. „ახალი ქართული ისტორიის მამა" ივანე ჯავახიშვილი და მსოფლიო „ისტორიის მამა" ჰეროდოტე ლაზების შესახებ

ლაზთა ისტორია თავდაპირველად ყველაზე საინტერესოდ და მრავალმხრივ შეისწავლა დიდმა ქართველმა მეცნიერმა, „ახალი ქართული ისტორიის მამამ" — აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა. ყველა ლაზმა უნდა წაიკითხოს ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია", სანამ უპასუხებს სოკრატეს კითხვას „შეიცან თავი შენი?"

სწორედ „ქართველი ერის ისტორიაში" ჰპოვა პირველად ლაზთა ისტორიამ ყველაზე სრულყოფილი ასახვა. მერე ბევრი რამ დაზუსტდა, გაღრმავდა და განვითარდა, მაგრამ საფუძველი ამ დიდ საქმეს დიდმა ივანე ჯავახიშვილმა ჩაუყარა.

ასე ამბობს საქართველოს ისტორიის მამა: ლაზები ქართველები არიან.

ჟურნალი „ოგნი" („სქანი ნენა") ბევრს წერს ეთნონიმ „ლაზის" სემანტიკისა და ეტიმოლოგიისათვის.

ზოგი რამ შეიძლება გაიზიაროს კაცმა, ზოგი რამ საკამათოა.

მე ვფიქრობ, რომ ლაზებზე წერს ისტორიის მამა ჰეროდოტე, როცა ის თავის ფუნდამენტურ თხზულებაში ახსენებს „ლასონიას". ჰეროდოტეს „ლასონია" არის ლაზონია. ლაზებიც „ლაზონას" ეძახიან თანამედროვე ლაზეთს.

ჰეროდოტეც ქართველურ ტომებთან (ტიბარენები, მოსინიკები და სხვ.) ერთად მოიხსენიებს ლაზებს.

ჰეროდოტე წერს, რომ ეგვიპტის ფარაონმა სეზოსტრისმა (რამსეს II), 1300 წლით ადრე ქრისტეს დაბადებამდე, ილაშქრა კოლხეთში, პროტოლაზურ სამყაროში.

კოლხთა (ლაზთა) და ეგვიპტელთა უძველესი ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების შესახებ წერს ჟურნალი „ოგნი" („სქანი ნენა")". ვფიქრობ, ლაზთა ეს ინტერესი სავსებით გამართლებულია.

წარსული უნდა ვიცოდეთ, რათა თანამედროვეობა სწორად შევიცნოთ და მომავალი უტყუარად განვსაზღვროთ.

ლადო ალფენიძე,
მწერალი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი.
თბილისი, 1994 წლის მაისი.

(დასასრული იქნება)

აღსდექ, საქართველო!

სააღდგომო ზარების ხმა შორს ისმოდა...

საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღორძინების ჟამს [illegible]ვით გარეჯის სამონასტრო კომ[illegible]ქსის გადარჩენასთან ერთად [illegible]ტიურად დაისვა ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკ[illegible]ესიის აღდგენის საკითხიც. ათე[illegible]ზმის აღზევების პერიოდში, ახა[illegible] იდეოლოგიის დამამკვიდრე[illegible]ლები დიდი ენთუზიაზმით არ[illegible]ევდნენ ან უმსგავსოდ ამახინჯებ[illegible]ნენ ღვთის სახლებს — ტაძ[illegible]ებსა და ეკლესიებს. ამ ბარბა[illegible]ოსობის მსხვერპლია სწორედ ნაძალადევის უბანში აღმართული [illegible] ერთადერთი ეკლესიაც. 1924-25 წლებში, როცა სახელმწიფოში „ათეისტური" რეფორმა ხორცი[illegible]ლდებოდა და ეკლესიები სკო[illegible]ებისათვის სამშენებლო მასალე[illegible]დ იშლებოდა, ანდა სახალხო [illegible]ხურებად, კლუბებად და სა[illegible]ობებად კეთდებოდა, ნაძალადევში ყოვლად უპრეცედენტო ფაქტი მოხდა — საქართველოში, ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე მისი სახელობის ეკლესიაში აბანო გაიხსნა! თაყვანისცემის, მოწიწებისა და სულის განწმენდის ნაცვლად, სამწუხაროდ, აქ მხოლოდ ფიზიკურ ჭუჭყს იცილიდნენ და ღვთისშიშდაკარგულთ საკუთარი ცოდვა-მადლის გარჩევა უჭირდათ.

ქართველებმა ყველა საქმის დაწყება დიდი ენთუზიაზმით ვიცით. ეკლესიის აღდგენასაც დიდი მონდომებით შევუდექით. სპონსორებიც გამოჩნდნენ — „სამთოქიმია" (ბ-ნი ნიკა ცხაკაია), ტრანსგაზის სახ. დეპარტამენტი — (ბ-ნი ივანე ლაზარაშვილი), ნავთობპროდუქტების სახ. დეპარტამენტი — (ბ-ნი დავით ზუბიტაშვილი). თუმცა, საკმარისი არ არის — დასამთავრებელი და მოსაპირკეთებელია ეკლესიის მთლიანი ხედი, აღსადგენია ინტერიერი და მრავალი სხვა სამუშაოა შესასრულებელი, რაც დიდ თანხასთან არის დაკავშირებული.

მრავალრიცხოვანი მრევლის გამო ეკლესიის დამთავრებამდე აშენდა სამრეკლოსთან არსებული მთავარანგელოზის ეკლესია, რომელშიც 1991 წლის 25 თებერვლიდან საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II კურთხევის შემდეგ აქტიური ღვთისმსახურება მიმდინარეობს.

შესანიშნავი რუდუნებით მოღვაწეობს ეკლესიაში მღვდელი ვახტანგ ასათიანი. მამა ვახტანგი ნაძალადევში ყველასათვის ახლობელი ადამიანია, ყველას ჭირისა და ლხინის მოზიარე, დამრიგებელი, მრჩეველი. მოძღვარს თითქოს მხოლოდ ჩვენი სულიერი დამოძღვრა უნდა ებაროს, მაგრამ მამა ვახტანგი ჩვენი იმ დიდი სულიერი მამების საქმის გამგრძელებლად შეიძლება ჩაითვალოს, რომლებსაც საღვთო საქმე უპირველესად ეროვნულ საქმედ აქციეს. სწორედ მათ აშენებულ ტაძრებსა და მონასტრებში აღორძინდა ის მტკიცე ეროვნული სული და ეროვნული კულტურა, რამაც საქართველო დღემდე მოიყვანა.

მამა ვახტანგს ეკლესიების აღდგენის დიდი გამოცდილება აქვს. მან თავის მეუღლესთან ერთად მშობლიურ ქუთაისში აღადგინა ორი ეკლესია — წმიდა სამების ეკლესია საფიჩხიაზე და თეკლას სახ. ეკლესია ოდესკურის სასაფლაოზე. შემდეგ კათალიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევითა და ხელმძღვანელობით ახალციხის რაბათში აღადგინეს მიტოვებული ეკლესია, მანგლისში ღვთისმშობლის მიძინების ტაძარიც მისი ხელდასმულია. მუხლჩაუხრელად იღვწის მამა ვახტანგი. მის გარშემო სხვადასხვა პროფესიის ღვთისნიერი ხალხია შეკრებილი: ლევან ფალავანდიშვილი, დავით ლოლობერიძე, ნოდარ ჭანტურია, რამაზ ღურჭუმელაძე.

მამა ვახტანგს დიდი გეგმები აქვს. ეკლესიის აღდგენასთან ერთად უნდა აღადგინოს საეკლესიო სამრევლო სკოლაც.

— დასაწყისში სკოლამდელი და დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ვასწავლით, მომავალში კი, ღვთის შეწევნით, მთლიანი სასწავლო პროგრამით ვიხელმძღვანელებთ. მოსწავლეები დაეუფლებიან ფერწერას, მუსიკას, დოგმატურ და ზნეობრივ ღვთისმეტყველებას, ძველ და ახალ აღთქმას, ბერძნულ და ინგლისურ ენებს, ჰიმნოგრაფიას, ძველ დამწერლობას, ლიტურგიას, ისტორიას, გეოგრაფიას და სხვ. სასურველია სწრაფად მოხერხდეს ეკლესიის აღდგენა და სამრევლო სკოლის გახსნაც. ზრდასრული ადამიანის გარდაქმნა დიდი საქმეა, მაგრამ ზნეობრივად სრულყოფილი, ღვთისმოყვარე და ღვთისმოშიში თაობის აღზრდა დღეს უპირველეს მიზნად მესახება, რადგანაც ეს არის ჩვენი ერის გადარჩენისა და აღორძინების საწინდარიო, — გვეუბნება მამა ვახტანგი.

არ შეიძლება გულგრილი დარჩე ამ დიდი საქმის წინაშე. ყველამ ჩვენი წილი აგური უნდა მივიტანოთ ერის სულიერი სიწმინდის მშენებლობაზე. ეკლესიის აღდგენის საბანკო ანგარიშია:

ნაძალადევის რ-ნი, ინდუსტრიაბანკი № 000700558 ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესია.

ჯერ დაუმთავრებელ ტაძარს დიდი მრევლი ჰყავს.

სააღდგომო საზეიმო წირვასაც, რომელიც მამა ვახტანგმა აღავლინა, ბევრი დაესწრო. სააღდგომო ზარების გუგუნი შორს ისმოდა.

ნანა თათელაძე.

საყურადღებო ცნობა!

თ. ბ. ი. დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი

აცხადებს V კლასის მოსწავლეთა მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის.

მოსწავლეთა შერჩევა მოხდება მისაღები გამოცდების საფუძველზე.

კოლეჯში სწავლა 7 წლიანია.

პირველი წელიწადი ინგლისურ ენაში მოსამზადებლად არის განკუთვნილი.

შემდგომ კლასებში მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება ინგლისურ ენაზე წარიმართება.

მოგვმართეთ

თუ გაქვთ საერთაშორისო სტანდარტების დონეზე განათლების მიღების სურვილი.

წარმოადგინეთ შემდეგი საბუთები 1994 წლის 15 მაისამდე:

1. 2 ცალი ფოტოსურათი
2. V კლასის I სემესტრის აკადემიური მოსწრების ფურცელი
3. დაბადების მოწმობის ასლი

მისამართი: თბილისი. გრიშაშვილის ქ. №51.
ტელ: 72-20-23, 93-44-71.

Here is the college in your dream!
Private
DEMIREL COLLEGE
Catch ſuture with us!
Prepare yourselſ with us!
iſ you want to attend to an international
College, JOIN US!

მარცვლეული კულტურების ზეთის სახდელი დანადგარი

რუსეთის წარმოების ზეთის სახდელი აგრეგატი იძლევა საშუალებას მიიღოთ მზესუმზირის, რაფსის, მდოგვის, სოიოსა და სხვა მარცვლეული კულტურების ზეთი და თავისი ეფექტურობით და კომპაქტური პარამეტრებით უახლოვდება საზღვარგარეთულ ანალოგებს.

მუშაობს გამარტივებული თანამედროვე ტექნოლოგიით, როგორც დამოუკიდებელი აგრეგატი, ასევე შესაძლოა ტექნოლოგიურ ხაზში (ქიმიური გაწმენდა და მოხალვა) მუშაობა.

კონსტრუქციულად დამზადებული ანალოგიური დანადგარებისაგან განსხვავებით გამოირჩევა დამუშავების მაღალი ხარისხითა და საიმედოობით.

ქარხანა-დამამზადებელი იძლევა 2 წლის მუშაობის სრულ გარანტიას. შემდგომი მუშაობისათვის კი მიეცემა სათადარიგო ნაწილები.

დანადგარის მწარმოებლობა შეადგენს 200 კგ ნედლეულს ერთ საათში.

ფასი შეთანხმებით.

ტელეფონები:
95-36-71; 39-04-94.
საღამოს: 23-18-58; 23-25-16

ფირმა «PrintShop»



თბილისი.
ვირსალაძის ქ. 8
ტელ.: 998696,
997712.

უახლესი ჰოლანდიური ტექნოლოგიით!
უმოკლეს დროში!
დაგიმზადებთ უმაღლესი ხარისხის ბეჭდებსა და შტამპებს
სავიზიტო ბარათებს, ბლანკებსა
და ფასიან ქაღალდებს

PS L.T.D

იყიდება წყლის
ელექტროგამაცხელებელი
100 ლიტრიანი,
თერმორეგულატორითა და
თერმომეტრით,
1,2 კილოვატის
სიმძლავრით.
ფასი 130 დოლარი



მოგვმართეთ: თბილისი, წერეთლის გამზირი 95-ა.
სპორტული მანეჟი. ტელ: 34-77-09, 34-42-91.

იყიდება 25 ტონიანი ლითონის ავზი.
ფასი 400 დოლარი,
ტელ: 51-33-49, 51-49-40.

ინფორმაცია

საწარმო ამუშავდა, პრობლემები რჩება

საქართველოში ენერგორესურსების მკვეთრი დეფიციტის გამო, ქარხანა „კასპიცემენტი“ კარგა ხანს გაჩერებული იყო. და აი, ახლახან საწარმო ამუშავდა.

როგორც ქარხნის ხელმძღვანელობამ გვითხრა: — ელექტროენერგიის ძაბვის ვარდნამ დააზიანა ღუმელის 2 ძრავა. ერთი ღუმელის გამორთვა კი — ხულ მცირე ერთი საათით — იწვევს 2 მილიარდი კუპონის პროდუქციის ზარალს. აქ მთლიანად შეცვლილია მიწისქვეშა კაბელები და სხვა სათადარიგო ნაწილები.

საწარმოს გაჩერება შესაძლოა მუშათა დენადობამაც გამოიწვიოს. მათი უმრავლესობა პროტესტს აცხადებს არასაკმაო ხელფასის გამო და მოითხოვს მის გაზრდას. ასე რომ, სასიამოვნოა რესპუბლიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტის ამუშავება, მაგრამ აქ არსებული პრობლემებიც სასწრაფოდ გადასაწყვეტია.

მარინე ყაბანაშვილი.

მოიპარეს დეტონატორები

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, ტყიბულის „საქნახშირის“ შახტის ფეთქებადი მასალების მიწისქვეშა საწყობიდან მოიპარეს 8115 ცალი ელექტროდეტონატორი.

ექსპოზიციაშია ქართული ფულის ნიმუშები

საქართველოში ფულის ისტორია სათავეს უხსოვარი დროიდან იღებს. ამას ადასტურებს ექსპოზიცია, რომელიც საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაშია გახსნილი. აქ შეხვდებით ალექსანდრე მაკედონელისა და სხვათა სტატერებს, (ფულის) ქართული მიბაძვის ნიმუშებს, პირველ ქართულ მონეტებს, რომლებზეც ძველი იბერიის მეფეებია გამოსახული. ბევრი მათგანი თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის 93-84 და 75-78 წლებით.

ხელყუმბარების მუქარით...

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა თელავის პოლიციის განყოფილების უფროსმა ზურაბ ხვიმონიშვილმა აცნობა, დროებითი დაკავების საკანში მყოფმა ხელყუმბარით შეიარაღებულმა 11-მა პატიმარმა მუქარით განაიარაღა სამორიგეო ნაწილში მყოფი პოლიციის 3 თანამშრომელი. მათ გაიტაცეს ავტომატური იარაღი, 2 მსუბუქი ავტომანქანა და მიიმალნენ. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად დაკავებულია 8 პატიმარი.

მკვლელი ჩაქოლეს

სიღნაღი. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 1 მაისს სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევში თბილისელმა, 1968 წელს დაბადებულმა თენგიზ ჩალათაშვილმა „მაკაროვის“ სისტემის იარაღით მოკლა ბოდბისხეველი სპარტაკ ნაცვლიშვილი და ფეხში დაჭრა გარბენტ ჭაბაშვილი, რის გამოც სოფლის მცხოვრებლებმა თენგიზ ჩალათაშვილი ჩაქოლეს.

განაჩენი აღსრულებულია

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა [illegible] 1995 [illegible] განაჩენით სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა განუსაზღვრა კაკუშა [illegible] ძე გრიგოლავასა და სერგო არსენის ძე თბილოვს.

კაკუშა [illegible] ძე გრიგოლავამ, რომელიც ექვსჯერ იყო ნასამართლევი, [illegible] საშიში რეციდივისტი. მან დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მოკლა [illegible]ძაშვილი.

სერგო არსენის ძე თბილოვმა (სამჯერ ნასამართლევი), დამამძიმებელ გარემოებაში ჩაიდინა განზრახ მკვლელობა.

წლები ჩემი სიმდიდრეა

ცხოვრება ახლა იწყებაო — ამშვიდებენ გოგი დოლიძეს

ეს საზეიმო შეკრება, რომელიც საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტში გაიმართა, არ ჰგავდა ჩვეულებრივ საიუბილეო საღამოებს, როცა იუბილარი სავარძელში ზის და მისი თაყვანისმცემლების საქებარ სიტყვებს ისმენს. გოგი დოლიძეს ვინც ახლო იცნობს, ვერც წარმოუდგენია ამ პოზაში, და ასეც გახლდათ, იგი ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა. ხშირად თავად მონაწილეობდა სცენაზე მომხდარ ამბებში, აქტიურად ეხმაურებოდა დარბაზს, არც კალთაში მსხდომ შვილიშვილებს აკლებდა ყურადღებას. ხოლო ქალბატონ ზინა კვერენჩხილაძესთან კაფიაობაში სავსებით გამობრწყინდა მისი დაუდეგარი ხასიათი, პაპუკური შემართება, სამოცი წლის ხანიც რომ ვერარას აკლებს. როგორც ყველა გამომსვლელი, ჩვენც ვადასტურებთ მათ ნათქვამს, ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ მაღალი, ელეგანტური გარეგნობის შავქოჩორა მამაკაცს სამოცი წელი შეუსრულდა.

დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრის დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. აქ შეკრებილიყო ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი. კინოს, თეატრის გამოჩენილი მოღვაწეები, მსახიობები, მეცნიერები, მწერლები, კომპოზიტორები, ჟურნალისტები, გოგი დოლიძის ახლობლები, მეგობრები. საიუბილეო საღამოს კინომცოდნე ოლღა თაბუკაშვილი უძღვებოდა.

გიორგი დოლიძეს, ვფიქრობთ, განსაკუთრებული წარდგინება არ სჭირდება. მას ჩვენი საზოგადოებრიობა უკვე ოცდაათ წელზე მეტი ხანია იცნობს ტელეგადაცემებისა თუ პრესის საშუალებით. მუდამ სიახლის მაძიებელი კინომცოდნე, თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორი კინოს დარგში, პროფესორი, მრავალი წიგნისა და გამოკვლევის ავტორი, უპირველესად ჟურნალისტი გახლავთ. თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, სხვადასხვა წლებში მუშაობდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“, გამომცემლობებში. 1969 წლიდან თეატრალურ ინსტიტუტშია.

გამომსვლელები — რეზო ჩხეიძე, გიზო ჟორდანია, ვასილ კიკნაძე, გიგა ლორთქიფანიძე, აკაკი ძიძიგური, ნატო ციციშვილი და სხვანი ლაპარაკობდნენ ეროვნული კინემატოგრაფის განვითარებაში მის დამსახურებაზე. გოგი დოლიძის განსაკუთრებულ წვლილზე ვასილ ამაშუკელის, როგორც ქართული კინოს ისტორიის ფუძემდებლის, სახელის აღდგენაში. ბატონმა გოგიმ [illegible] კინოს მეურვეობა იკისრა. როგორც რეჟისორმა აღადგინა, გაახმოვანა და ახალი სიცოცხლე შთაბერა ბევრ მივიწყებულ მხატვრულ ფილმს. ამით დიდი სამსახური გაუწია ჩვენს კულტურას. ეკრანს კვლავ დაუბრუნა გამოჩენილ მსახიობთა სახეები. მას აღდგენილი აქვს ალ. წუწუნავას „ხანუმა“ და „ორი მონადირე“, კ. მარჯანიშვილის „ამოკი“, „კრაზანა“, „კომუნარის ჩიბუხი“, რომელთა ფრაგმენტები იუბილარმა წარმოგვიდგინა კიდეც, აღადგინა აგრეთვე მ. ჭიაურელის „საბა“, ვ. ბარსკის „ზღვა“, „თავადის ასული მერი“, „მაქსიმ მაქსიმიჩი“. ვ. ნაზაროვის „ნათელა“, ლ. ესაკიას „პოლტზე“, გ. მაკაროვის „ქალი ბაზრობიდან“, დ. რონდელის „უგუბზიარა“, მ. გელოვანის „ნამდვილი კავკასიელი“, კ. პიპინაშვილის „ფრონტისაკენ“, ლადო მესხიშვილის მონაწილეობით შემორჩენილი ფილმები „შურისმაძიებელი ღმერთი“, და „ორლოვების ოჯახის სირცხვილი“.

იუბილეზე აღნიშნავდნენ გოგი დოლიძის დიდ წვლილზე ქართული ახალგაზრდული კინოს საერთაშორისო ასპარეზზე გატანაში. მან ხომ კავშირი დაამყარა მსოფლიოში არსებულ ბევრ კინოსკოლასთან, რის მეოხებითაც არაერთმა ქართულმა ახალგაზრდულმა ფილმმა მოიპოვა საერთაშორისო აღიარება, შორს გაიტანა ეროვნული კინოს სახელი.

სცენაზე ერთმანეთს სცვლიდნენ გოგი დოლიძის ნიჭის თაყვანისმცემლები, ახლო მეგობრები — პროფესორი ინგა ლორთქიფანიძე, კომპოზიტორი ჯემალ სეფიაშვილი, რომელმაც სიმღერა უძღვნა იუბილარს, გულთბილად მიესალმნენ ახალგაზრდა პედაგოგები, სტუდენტები, ხოლო სამსახიობო ფაკულტეტის ახალგაზრდებმა ლათინურ-ამერიკული ცეკვებით მოხიბლეს მაყურებელი. აგრეთვე მოწონება ხვდა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატს მეშვიდეკლასელ ეკა შამანაურს, კონსერვატორიის სტუდენტს პაატა სვანიძეს.

იყო მილოცვები, დეპეშები საზღვარგარეთიდან. მათ შორის წაიკითხეს გულნარა უროტაძის მისალმება მიუნხენიდან. გოგი დოლიძეს გულთბილად მიესალმა ისრაელის სახელმწიფოს სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბატონი ბარუხ ბენ-ნერია.

დასასრულ, იუბილარმა მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და ილაპარაკა თავის შემოქმედებით გეგმებზე. ვუსმენდი მას და გამახსენდა ერთ-ერთი ორატორის სიტყვები: სამოცი წელი მხოლოდ დასაწყისია მისი დიდი ცხოვრებისათ. დიახ, ალბათ, ასე იქნება. გოგი დოლიძე თავისი დაუღალავი შრომით კიდევ მრავალი ახალი შემოქმედებითი მიღწევებით გაგვახარებს.

ლარისა ხუგულური.

• • •

აქვე ვაქვეყნებთ გოგი დოლიძის ახალგაზრდობის სურათს (იგი ფოტოზე მარცხნივაა) თავის საყვარელ მეგობართან, ცნობილ ფოტოხელოვანთან **გურამ თიკანაძესთან** ერთად.

ფოტო 1962 წელსაა გადაღებული.

წიგნის თარო

საჭირო სახელმძღვანელო

სარედაქციო-საგამომცემლო ფირმა „ჰიპოკრატემ“ წელს გამოსცა პროფესორ ცინარა გაჩეჩილაძის შედგენილი დამხმარე სახელმძღვანელო „ჰისტოლოგია, ციტოლოგია (სქემები, საკონტროლო კითხვები და სიტუაციური ამოცანები)“. სახელმძღვანელო შინაარსითა და ფორმით წარმოადგენს წიგნს, რომელიც აუცილებელია გამეორების, საკუთარი ცოდნის კონტროლის, აღქმულის ფიქსაციისა და მთლიანად საგნის ღრმა, საფუძვლიანი შესწავლისათვის. ასეთი შინაარსისა და ფორმის წიგნი აუცილებელია საკითხის ათვისების პროცესისათვის და უნდა შეიქმნას უმაღლესი სამედიცინო (და არა მხოლოდ სამედიცინო) სასწავლებლებისათვის თითოეული დისციპლინის შესასწავლად.

ქალბატონი ცინარა გაჩეჩილაძე გამოცდილი, უმაღლესი კვალიფიკაციის პედაგოგია, რომელიც უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელში ციტოლოგიის, ჰისტოლოგიის, ემბრიოლოგიის სწავლებისათვის ხელმძღვანელობს სინერგეტიკის პრინციპებით და რომელსაც ორგანიზმი წარმოდგენილი აქვს, როგორც თვითრეგულირებადი, ევოლუციის გზით ჩამოყალიბებული ცოცხალი თერმოდინამიკური გაწონასწორებადი სისტემა.

ზემოხსენებულ პრინციპებზე დაფუძნებული სახელმძღვანელო სავსებით შეესაბამება მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონესა და მის მოთხოვნებს და ის უნდა წარმოადგენდეს სტუდენტის სამაგიდო წიგნს ციტოლოგიის, ჰისტოლოგიისა და ემბრიოლოგიის შესწავლისათვის უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელში. ამიტომ აუცილებელია ამ წიგნით უზრუნველყოფილი იყოს თითოეული სტუდენტი.

თამარ დეკანოსიძე,

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

ევროპის სტადიონებზე

კონტინენტის მოწინავე საფეხბურთო ქვეყნებში მთავრდება ეროვნული ჩემპიონატები.

ესპანეთი. 36-ე ტური. „დეპორტივო“ — „რაიო ვალეკანო“ 0:0, „ბარსელონა“ — „სპორტინგი“ 4:0, „ალბასეტე“ — „რეალი“ 1:4.

ლიდერთა სატურნირო მდგომარეობა ფინიშამდე 2 ტურით ადრე: „დეპორტივო“ — 53, „ბარსელონა“ — 52, „რეალი“ — 45 ქულა.

გერმანია. 33-ე ტური. „კარლსრუე“ — „ბაიერნი“ 1:1, „კაიზერსლაუტერნი“ — „დორტმუნდი“ 2:0.

ბოლო ტურის წინ საუკეთესო სამეული ასე გამოიყურება: „ბაიერნი“ — 42, „კაიზერსლაუტერნი“ — 41, „კარლსრუე“ — 38 ქულა.

იტალია. დასკვნითი, 34-ე ტური. „მილანი“ — „რეჯანა“ 0:1, „იუვენტუსი“ — „უდინეზე“ — 1:0, „სამპდორია“ — „ლაციო“ — 3:4.

„მილანმა“ 50 ქულით შეინარჩუნა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. მას 3 ქულით ჩამორჩა მეორე პრიზიორი — „იუვენტუსი“. 44-44 ქულით დაასრულეს ტურნირი „სამპდორიამ“ და „ლაციომ“. ბურთების უკეთესი შეფარდებით ბრინჯაოს მედლები გენუელებმა მოიპოვეს.

ხსოვნა

დიმიტრი გოგელია

შინაგან საქმეთა ორგანოებმა დიდი დანაკლისი განიცადა — წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი მუშაკი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი **დიმიტრი სიმონის ძე გოგელია.**

დაიბადა 1914 წელს. ღირსეულად განვლო გზა რიგითი ოპერატიული მუშაკიდან განყოფილების უფროსამდე. 1968 წლიდან იმყოფებოდა დამსახურებულ პენსიაზე.

დიმიტრი გოგელია, ახალგაზრდა მუშაკების გულისხმიერი აღმზრდელი, ყოველთვის გამოირჩეოდა დაუღალავი ენერგიით, საქმისადმი თავდადებით.

შინაგან საქმეთა ორგანოებში უმწიკვლო სამსახურისათვის დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით.

ღირსეული მოქალაქე, სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტი, ერთგული მეგობარი — ასეთად დარჩება დიმიტრი გოგელია ყველა იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ვიტალი თათარაშვილი

გარდაიცვალა საავტომობილო დარგის თვალსაჩინო მუშაკი, შრომის ვეტერანი, მცხეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი **ვიტალი მიხეილის ძე თათარაშვილი.**

დაიბადა 1937 წელს. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1968 წლიდან მცხეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოში და რაიონის ავტოსატრანსპორტო საწარმოთა გაერთიანებაში ეკავა სხვადასხვა პასუხსაგები თანამდებობები. 1984 წლიდან გარდაცვალებამდე იყო მცხეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი.

დიდია ვიტალი თათარაშვილის წვლილი რესპუბლიკის ისეთი მნიშვნელოვანი და პასუხსაგები მშენებლობების ავტოტრანსპორტით უზრუნველყოფის საქმეში, როგორიცაა ენგურჰესი, გუდაურის სპორტული კომპლექსი, საავტომობილო გზები, ხიდები, რისთვისაც მრავალჯერ იყო წახალისებული ხელმძღვანელობის მიერ, მიღებული ჰქონდა სახელმწიფო ჯილდოები.

წავიდა ჩვენგან ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ხელმძღვანელი, გულისხმიერი და თავმდაბალი ადამიანი, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება თანამოსაქმეთა და მეგობრების გულში.

საქართველოს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტი; პროფკავშირის დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტი.

საქართველოს რესპუბლიკის საგამოძიებო დეპარტამენტი თანაუგრძნობს სატრანსპორტო საგამოძიებო სამმართველოს უფროსს რევაზ გოგელიას, მამის

დიმიტრი სიმონის ძე გოგელიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა სამუშაოდ იწვევს მთავარი ბუღალტრის მოადგილისა და ბუღალტერ-ეკონომისტების ორ ვაკანტურ საშტატო ერთეულზე სპეციალური უმაღლესი განათლებისა და არანაკლებ 3-5 წლის პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების მქონე სპეციალისტებს.

ცნობებისათვის მიმართეთ ტელეფონებზე: 93-33-77; 93-24-85; 93-35-02.

გამოფენა იყო რუსულ მუზეუმში

მთელი ხუთი თვის განმავლობაში სანკტ-პეტერბურგის ცნობილი რუსული მუზეუმის დარბაზებში გამოფენილი იყო ქართველი მხატვრებისა და ხალხური ოსტატების ნამუშევრები. წარმოდგენილი იყო ჭედური ხელოვნების ნიმუშები, ნაქარგები, გობელენები, სამკაულები, ხეში შესრულებული ჩუქურთმები. გამოფენას დიდი მოწონება ხვდა. რუსულ პრესაში არა ერთი საქებარი რეცენზია გამოქვეყნდა ქართველ ოსტატთა ხელოვნებაზე. ბევრი აღმოჩნდა ამ ნაწარმოებთა შეძენის მსურველი, მაგრამ იმის გამო, რომ საბაჟო გადასახადი დიდია, ვერც ერთი ნამუშევარი ვერ გაიყიდა.

— მინდა მადლიერებით მოვიხსენიო რუსულა მუზეუმის დირექტორი, ხელოვნებათმცოდნე ვლადიმერ გუსევი, — გვითხრა ამ გამოფენის ორგანიზატორმა, ცნობილმა მხატვარმა კერამიკოსმა ნანა ბოტკოველმა, — იგი ყოველმხრივ ხელს გვიწყობდა, იცოდა რა, მხატვრების გაჭირვების ამბავი, დარბაზებში გამოფენის საფასური არ გადაგვახდევინა. განსაკუთრებით დიდი დახმარება გაგვიწიეს კომერციული ფირმა „ირინას“ ხელმძღვანელებმა ირინა ამბაროვამ და თამაზ ტერუნაშვილმა. მათ ჩვენი საგამოფენო ტვირთი, რომლის წონა 200 კილოგრამია, უფასოდ ჩამოგვიტანეს თბილისში.

შორენა მელიქიშვილი.

წერილი რედაქციას

ისევ სერია „დაბრუნების“ შესახებ

სწორად მოიქცა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია, ქართული ემიგრანტული ლიტერატურის სერიის „დაბრუნების“ შესახებ რომ გამოაქვეყნა პროფესორ ზურაბ ქუმბურიძის წერილი.

ჩვენ ვიზიარებთ აზრს, რომ განმეორებით გამოცემაში დაცული უნდა იქნას ავტორის ენის კოლორიტი, მაგრამ ვთვლით არც „მედავითნური“ რედაქტორობა ვარგა; გასწორდეს აზრობრივი, კორექტურული და პუნქტუაციური უზუსტობები და მათზე შენიშვნებში მიეთითოს, როგორც ამას თანამედროვე ტექსტოლოგია მოითხოვს.

ამავე დროს ვაყენებთ საკითხს ტომთა ბიბლიოგრაფიული სისრულისა და სიზუსტის შესახებ.

მაგალითად, ექვთიმე თაყაიშვილის „ემიგრანტული ნაშრომების“ 1 ტომში (თბილისი, 1991) განმეორებულია ავტორის წერილი „ელენე თარხან-მოურავისეული ვეფხისტყაოსნის სურათებიანი ხელნაწერის“ პარიზული გამოცემის ტექსტი (გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, 1929, № 1-2).

ე. თაყაიშვილის არქივში დაცულია ხელნაწერი დედანი, რომელიც უფრო სანდოა და ამიტომ იგი გამოვაქვეყნეთ ჟურნალ „მნათობში“ (1962 წ. № 2, გვ. 139-142).

რაღა თქმა უნდა, ეს ტექსტი უნდა გათვალისწინებულიყო ახალ გამოცემაში; ტომში კი ამ პუბლიკაციის ხსენებაც არ არის!..

ისედაც, ახალი გამოცემა ტექსტოლოგიის ახალ პრინციპებს უნდა პასუხობდეს. ამიტომაა, რუსი ემიგრანტების ნაშრომები რომ იქ რევოლუციამდელი ორთოგრაფიითაა დაბეჭდილი, რუსეთში ახლით მეორდება. ასევე გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ ბალმონტისეული თარგმანი პარიზში, მაგრამ რუსთაველის 1937 წლის საიუბილეოდ ახალი ორთოგრაფიით გაიმართა და იგივე მეორდება.

ტომებს უეჭველად უნდა ერთოს კომენტარები და შენიშვნები და საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები, როგორც ეს მიღებულია ასეთ გამოცემებში. სასურველია უფრო ვრცელი შენიშვნები და საძიებლებიც, როგორც ეს ახლავს ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის, აკაკი შანიძის, სიმონ ყაუხჩიშვილისა და სხვათა გამოცემებს.

სერია „დაბრუნების“ მთავარ სარედაქციო კოლეგიაში დასახელებულია ისეთი პირებიც, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ სერიის ტომებთან! არ იხსენიება კი არც ერთი პიროვნება, რომელსაც ე. თაყაიშვილთან კავშირი ჰქონდა მაშინ, როდესაც ეს ურთიერთობა საშიში იყო და არავინ არაა დასახელებული არც იმ არქივიდან, სადაც ესა და ასეთი ფონდებია დაცული!..

საქმის ინტერესი ამ მინიმალურ მოთხოვნათა გათვალისწინებას მოითხოვს.

იოსებ მეგრელიძე.

თანადგომა

მოყვარე ჭირში გამოჩნდება

გვინდა მადლობა ვუთხრათ იმ ხალხს, ვინც გულთან ახლოს მიიტანა დევნილთა გასაჭირი, მიუხედავად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა, არაფერი დაიშურა ღვთის ანაბარა დარჩენილი ხალხის დასახმარებლად.

გარდაბანში დევნილთა 8 ოჯახი ვცხოვრობთ. რაიონის საავადმყოფომ შეგვიფარა. შეძლებისდაგვარად ყურადღებას არ გვაკლებენ საავადმყოფოს მთავარი ექიმი ჟორა წერედიანი, მთელი სამედიცინო პერსონალი.

წლევანდელი მძიმე ზამთარი კეთილმა ადამიანებმა გადაგვატანინეს. მოგვქონდათ ჩვენთან კვების პროდუქტები, ტანსაცმელი, გვამხნევებდნენ, გვაიმედებდნენ. გვინდა სათითაოდ ჩამოვთვალოთ ისინი: გარდაბნის რაიონის განყოფილების გამგე ჯუმბე ონიანი, განყოფილების მუშაკები ვერიკო ქემოკლიძე, შალვა ხუციშვილი, მურად წიქარიშვილი და სხვები.

თელეთისა და გარდაბნის მე-3 სკოლის მოსწავლეები ბოსტნეულით და მწვანილით გვამარაგებენ, მზრუნველობას არ აკლებენ ჩვენს შვილებს. ბავშვებს ტანსაცმელთან ერთად სათამაშოებსაც ჩუქნიან.

სწორედ ამაზეა ნათქვამი, მოყვარე ჭირში გამოჩნდებაო. მადლობელი ვართ გაჭირვებაში თანადგომისათვის, ზღვა სიკეთისათვის.

სოხუმელ დევნილთა სახელით

თინა კოპალიანი.

მომავალი იურისტი — დასრულებული ფერმწერი

ქარვასლის საგამოფენო დარბაზში გახსნილია თვითნასწავლი მხატვრის **ირაკლი კახიძის** ნამუშევართა გამოფენა.

ირაკლი კახიძე 21 წლისაა, მისი პირველი პერსონალური გამოფენა 1984 წელს ბავშვთა ნახატების გალერეაში მოაწყო მისმა დირექტორმა ავთანდილ კუხიანიძემ.

— ირაკლის რამდენიმე სურათი გალერეის „ოქროს ფონდშია“ შეტანილი და დღესაც ამშვენებს მის კედლებს, — გვითხრა ბატონმა ავთანდილმა, — ნორჩი მხატვრის სურათებმა შემოიარეს რუსეთი, ბულგარეთი, იაპონია, პოლონეთი. ერთი კურიოზიც ახსოვთ ახლობლებს: მოსკოვში გამართულ კონკურსზე კახიძის ნამუშევარმა გაიმარჯვა, მაგრამ როცა ავტორის წლოვანება შეიტყვეს დაეჭვდნენ: სანამ მათ თვალწინ არ დახატვინეს იგივე სურათი, ლაურეატობა არ უბოძეს.

მისი ნიჭის გაფურჩქვნას დიდი ამაგი დასდო ცნობილმა ფერმწერმა თენგიზ მირზაშვილმა.

გამოფენის გახსნისას, მისასალმებელ სიტყვაში, ბატონმა ავთანდილ კუხიანიძემ თქვა, რომ ირაკლი სამხატვრო აკადემიის ნაცვლად სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, თუმცა ფერწერაშიც თვალსაჩინო მიღწევები აქვს.

ამაში კი თავად დარწმუნდება გამოფენის დამთვალიერებელი.

ია კალანდარიშვილი.

ლამაზ ქალს გვირგვინიც ლამაზი უნდა ედგას

აგერ, თბილისში, ვაკეში, კიდევ ოთხი ახალგაზრდა კაცი მოკლეს.

ვინ მოკლა? რატომ? რისთვის? — ჯერჯერობით, უცნობია. ისე, საბრალონი მრუდე გზით მოხიარულენი იყვნენ.

დღეს უკვე აღარავის ეეჭვება, რომ საქართველოს ეკონომიკა ქვეყნის საბანკო-საფინანსო სისტემაში დაშვებულმა უმძიმესმა შეცდომებმაც დააქცია. ამას ქართველი არ იზამდა, ვერ წარმოუდგენია ზოგიერთს; იზამდა თუ არ იზამდა, ყველაზე უკეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დამნაშავეობასთან მებრძოლი სამმართველოს თანამშრომლებმა იციან. საქართველოდან მილიონობით დოლარი გაიტანეს საზღვარგარეთ, სამაგიეროდ, ერთი ცენტის საქონელიც არ შემოუტანიათ. ახლა უკანონო სავალუტო ოპერაციებთან დაკავშირებული ბევრი [illegible] სისხლის სამართლის საქმეა გახსნილი, მაგრამ რაღა დროს?!

რაც უნდა იყოს, ჩვენი ცხოვრება მხოლოდ ცუდისა და უსიხარულოს ერთობლიობა არ არის. ამიტომ [illegible] კარგი განწყობილება რომ შეგინარჩუნოთ, ერთ კეთილშობილ ქართველ ქალბატონს გავაცნობთ. იმედი მაქვს, [illegible] თქვენც გაგიხარდებათ და [illegible].

ნანა აბულაძე საქართველოს პოლიციის პირველი და, ჯერჯერობით, ერთადერთი პოლკოვნიკი ქალია. გარეგნობით მწყაზარმა ქალბატონმა საინტერესო გზა განვლო, სანამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიების სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსი გახდებოდა.

ქალი — გამომძიებელი უკვე აღარ იწვევს მოჭარბებულ ემოციებს, თუმცა ადრე ცოტა სხვანაირად იყო, ორგანოში მანდილოსნის სამსახურს საზოგადოება სკეპტიკურად უყურებდა. ნანას ბავშვობიდანვე იზიდავდა ეს პროფესია. ჯერ კიდევ პატარა გოგონა ცელქ ბიჭებს ჩამწკრივებდა და მათში მტყუან-მართალს არჩევდა, აწონასწორებდა. შეიძლება აქედან დაიწყო ის ობიექტურობა და პრინციპულობა, ძვირფასი თვალივით სხვათაგან რომ გამოარჩევს.

ქალი ზოგჯერ უფრო პრინციპული, უშიშარი და ობიექტურია, ვიდრე კაცი, პატიმართანაც კონფლიქტი ნაკლებად მოსდის. ამაში გამომძიებელ ქალს, ალბათ, თავისი ბუნებრივი, ქალური თვისებებიც ეხმარება. თუმცა, აქ ერთი რამაც არის ანგარიშგასაწევი: ბრალდებული ხშირად მაშინ ბრაზობს და ჭირვეულობს, როცა გრძნობს, მას უმართებულოდ ექცევიან. საერთოდ, პროფესიონალიზმი და საქმის სიყვარულია გადამწყვეტი.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

— მე პატივს ვცემ კანონის დამცველ ადამიანებს, — თქვა ქალბატონმა ნანამ, არადა, ახლა ბევრი კანონს არარად აგდებს. გამომძიებელს უნდა ახსოვდეს, რომ ბრალდებულის უკან დგას საზოგადოება, ოჯახი, უსაფუძვლოდ კაცი არ უნდა დაისაჯოს.

პატიმარი ქალი? ყოველთვის განვიცდი, ქალი რომ პატიმარია. ისე, ქალებთან უფრო ძნელია მუშაობა. — უმეტესად სამეურნეო დანაშაულობებს ვიძიებ. ბევრი საქმე ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობიდან იწყება. ზოგჯერ ადამიანს სიდუხჭირე დანაშაულისაკენ უბიძგებს, მაგრამ ზნეგადასულებიც ბევრნი არიან. ყოველთვის მებრალება კაცი, ოჯახურმა მდგომარეობამ, გაჭირვებამ ბრალდებულის სკამზე რომ დასვა.

ასეც ხდება: ზოგი გამომძიებელი ბრალდებულისაგან აღიარების მისაღებად ფიზიკურ ზემოქმედებასაც არ ერიდება. რა ქნას ქალმა, თუ გაკერპებულ დამნაშავეს სიტყვას ვერ დააცდენინებ!

ფიზიკური ზემოქმედება? არავითარ შემთხვევაში. ეს ანომალიაა, თუმცა, გამომძიებელი ქალი ფიზიკურადაც და გონებრივადაც ძლიერი უნდა იყოს. განვლილი ცხოვრება მივლინებებში გავატარე. მთელი დასავლეთ საქართველო ფეხით მოვიარე. „ქუთაისის საქმეზე“ ჩემთან ერთად ახალგაზრდა გამომძიებელი მუშაობდა. არაადამიანური შრომა გვიწევდა. წარმოიდგინეთ, მე უფრო ვუმკლავდებოდი გასაჭირს.

საგამოძიებო დეპარტამენტის მამაკაცები ქალბატონ ნანას შემწედ და მზრუნველად, გაჭირვების ტალკვესად მიიჩნევენ. ახალგაზრდები დედასაც უწოდებენ.

— სამსახურს შევწირე ყველაფერი, პირად ცხოვრებას კი ბევრი რამ დავაკელი. საკუთარი ოჯახი ვერ შევქმენი. მყავს დისწულები, ძმისწულები, მაგრამ შენი კერია მაინც სხვა არის. ქალი უპირველესად დედა უნდა იყოს, ამაზე მწყდება გული...

ჯერ კიდევ არ არის გვიან-მეთქი, — შევკადრე. გაიცინა, სახე გაებადრა. მართლაც რატომ არის გვიან?

მისი დიდბუნებოვნებაა, რომ ამდენი მეგობარი ჰყავს. უმეტესად კაცები არიან ჭირ-ვარამის ზიარნი. ისინი უფრო გულწრფელი, უღალატონი არიან.

— რა არ მომწონს ქალში? ვერ ვიტან ბოროტებას, შურს, მიხარია ლამაზ ქალს რომ დავინახავ, მის სულშიც სილამაზეს ვეძებ. ლამაზს შეიძლება ბევრი რამ აპატიო. არც ძალიან გაპოლიტიკოსებული ქალები მომწონს. ჩემი იდეალი — მარგარეტ ტეტჩერია. დიდ პატივს ვცემ იმ დედას, ვისაც კარგად აღზრდილი, სამშობლოს ერთგული შვილები ჰყავს. თავისუფალ დროს ვკითხულობ, ფორტეპიანოზე ვუკრავ, ვმღერი...

— თუ დამნაშავე ძალზე მომხიბლავი ქალია, ხომ არ გიჩნდებათ სურვილი ოდნავ შეუმსუბუქოთ სასჯელი? ვკითხე საუბრის დასასრულს. არაო, მითხრა თვითდაჯერებით, — ლამაზ ქალს გვირგვინიც ლამაზი უნდა ედგას!

ზაურ მაქარაძე.

იყიდება

ორსართულიანი სახლი ბორჯომის რაიონში, დაბა ახალდაბაში. საცხოვრებელი ფართი 140 კვ.მეტრი, მიწის ნაკვეთი 1200 კვ.მ. ეზოში არის დიდი ბოსელი, საღორე, მარანი და თონე. ან იცვლება თბილისში საბურთალოს რაიონში.

ფასი შეთანხმებით.

ტელ: 36-40-94, იკითხეთ გელა.

LIG-DAG

ჩემპიონატზე ტელეკომპანია «ВИД»-თან ერთად

ტელეკომპანია „ВИД“ გეპატიჟებათ მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთში
ა. შ. შ. ფინალურ თამაშებზე.
ლოს-ანჟელესი, ლოს-ვეგასი, 11 დღე,
უმაღლესი დონის მომსახურებით.
მოგვმართეთ ყოველ დღე კვირის გარდა
11-დან 17 საათამდე.
გოთუას № 14 VII სართული, ტელ: 37-03-26
საბუთების მიღება 25 მაისამდე.

სასწრაფოდ იყიდება

ვაკეში, ნაფარეულის ქუჩაზე
(უნივერსიტეტის II კორპუსის პირდაპირ)
მაღალჭერიანი, ორიგინალური პროექტის,
გარემონტებული, პრივატიზებული, 4 ოთახიანი
ბინა, III სართული, აივნით და ტელეფონით.
სავარაუდო ფასი 45 ათასი დოლარი.

☎ 23.36.30

სასწრაფოდ იყიდება

სასწრაფოდ იყიდება

ვაკეში ოროთახიანი ბინა შუშაბანდით.
საერთო ფართი 60 კვ მეტრი, მაღალჭერიანი,
ტელეფონით. გარემონტებული.
არის ცივი წყალი, გაზი, გათბობა.
პატარა საკუთარი ეზოც აქვს.
ბინა ორსართულიანი სახლის მეორე
სართულზეა. შესაძლებელია მანსარდის
დაშენებაც.
ფასი 7500 დოლარი.
ტელ: 29-29-90, 29-10-92, 31-36-74.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოგიაშვილი